# ახალი განათლება

2010 წელი, 4 - 10 თებერვალი

ფასი 90 თეთრი

№3 (477) გამოდის 1998 წლიდან


# 2010-11 წლებში მოსალოდნელი სიახლეები

## გვესაუბრება ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ხელმძღვანელი ნათია ჯოხაძე

**– რატომ გახდა საჭირო სახელმძღვანელოების გრიფირების წესის გამკაცრება, რა ხარვეზი აღმოაჩნდა ძველ წესს?**

– გრიფირების წესის დახვეწა გამოიწვია იმ გარემოებებმა, რომ, პირველ რიგში, ჩვენი სურვილია სახელმძღვანელოებს ერთიანი ტექნიკური სტანდარტი ჰქონდეს. მეორე რიგში კი, უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს სახელმძღვანელოების შეფასების პროცესს, ანუ ეს პროცესი უფრო დაიხვეწოს და მეტი მონაწილე ჩაერთოს შეფასებაში. აი, ამან გამოიწვია გრიფირების წესის ცვლილება.

სახელმძღვანელოების შეფასების პროცესი წარიმართება შემდეგი მიმართულებით: შეაფასებენ როგორც ცენტრის ექსპერტები, ასევე, საგნობრივი ექსპერტები, ანუ აკადემიური წრეების წარმომადგენლები და მოქმედი პედაგოგები. შემდგომ ყველა შეფასება გადაეცემა საგნობრივ საბჭოებს და ექსპერტებთან ერთად შეჯერდებიან საბოლოო პოზიციაზე. აქამდე პედაგოგებს არასოდეს შეუფასებიათ სახელმძღვანელოები, ეს სერიოზული სიახლე იქნება, რადგან სახელმძღვანელოში მარტო საგანი არ არის, არის მეთოდოლოგია, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში.

რაც შეეხება ტექნიკურ სტანდარტებს, აქ ჩვენ ორი მიმართულებით ვმუშაობთ: ერთია მოკლევადიანი პერსპექტივა – 2010 წლის კონკურსისთვის მოთხოვნების გამკაცრება რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით. არის გრძელვადიანი პერსპექტივაც: განახლებული, მოდიფიცირებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შექმნილი სახელმძღვანელოების შესაფასებლად გრიფირების ახალი წესი ამოქმედდება.

**– დაახლოებით, როდის მოხდება ეს?**

– ჩვენ ვმუშაობთ სახელმძღვანელოების მიმართ წაყენებული მოთხოვნების დაზუსტებაზე და ახალი სტანდარტის შექმნაზე, მათ შორის ე.წ. ტექნიკურ რეგლამენტზე და ვფიქრობთ, გაზაფხულზე დავასრულებთ. ტექნიკური რეგლამენტით განისაზღვრება სახელმძღვანელოს ზომა, წონა, ქაღალდის ხარისხი, ასევე ილუსტრაციების ხარისხი, შრიფტის ზომა და ა.შ. – ყველა ეს კომპონენტი სტანდარტში განსაზღვრული იქნება.

ახალი სასწავლო წლისთვის, როგორც მოგახსენეთ, მოკლევადიანი სტანდარტი იმოქმედებს, სავალდებულო ხდება, მაგალითად, ერთნაირი ზომის დადგენა; კონკრეტული რეკვიზიტები, თუ რა უნდა იყოს სახელმძღვანელოზე დატანილი (დღეს გამომცემლობებს სხვადასხვა ინფორმაცია აქვთ განთავსებული); სახელმძღვანელოს აუცილებლად უნდა ეწეროს ფასი (ამით დავიცავთ მშობლის, მოსწავლის და მასწავლებლის, როგორც მომხმარებლის, უფლებას, იცოდეს, რა ღირს სახელმძღვანელო); აქცენტი გაკეთდება სახელმძღვანელოების ილუსტრაციების ხარისხზე. როცა დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები მომზადდება, განისაზღვრება ფონტის ზომა და დაშორება სტრიქონებს შორის და ა.შ.

ტექნიკური საკითხების ნაწილი მოკლევადიან პერსპექტივაში წელსვე იქნება გათვალისწინებული, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს უკვე ნორმატიული დოკუმენტი იქნება, რომელიც დაარეგულირებს და ერთიანობაში მოიყვანს ყველა სახელმძღვანელოს. მოკლევადიანი გრიფირების წესი ძალიან მალე იქნება მზად.

**– თუ დაექვემდებარება ცვლილებას გრიფირებული სახელმძღვანელოები, რომლებიც 5-წლიანი ვადით შევიდა სკოლებში?**

– სკოლებმა აირჩიეს სახელმძღვანელოები 5 წლის ვადით. ეროვნულ სასწავლო გეგმაში არის ჩანაწერი გრიფირების წესის შესახებ: თუ ამ კონკრეტულ საგანში ან კლასში არ იცვლება ეროვნული სასწავლო გეგმა, სახელმძღვანელოს ეს 5-წლიანი ვადა მოქმედია, თუ იცვლება, მასთან შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს სახელმძღვანელო. ამიტომ, ბუნებრივია, შეიცვლება. თუმცა, ჩვენ ვმუშაობთ სხვადასხვა მოდელზე, როგორ უნდა მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა. ერთია, როდის გვექნება ეს ფუნდამენტური დოკუმენტი და მეორეა, როგორ დავიწყებთ მის დანერგვას – რომელ კლასებში, როგორი ინტენსივობით, რა ეტაპებად და ა.შ.

**– როდის იქნება მზად ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა და როდის დაიწყება დანერგვა?**

– სექტემბერში უკვე მზად იქნება. რაც შეეხება დანერგვის სქემას, მიმდინარეობს მუშაობა – კონკრეტულად როდის დაიგეგმება, ეს, მოგეხსენებათ, იოლი არ არის, გასააზრებელია უამრავი ნიუანსი.

**– სიმართლეს შეესაბამება თუ არა გავრცელებული ინფორმაცია, რომ თითოეულ საგანში მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო იქნება?**

– ეს ინფორმაცია არ არის სწორი. ჩვენს ცენტრსა და სამინისტროს ასეთი მოთხოვნები არ გვაქვს. თუმცა, შეფასების ახალი სისტემის ამოქმედება თავისთავად შეამცირებს სახელმძღვანელოების რაოდენობას. შეიძლება არც შემცირდეს მათი რაოდენობა, მაგრამ ყველა სახელმძღვანელო, რაც იქნება, უნდა იყოს ხარისხიანი. ამიტომ ვაწესებთ ე.წ. ბარიერს (ქულათა გარკვეულ რაოდენობას), რომლის ვერგადალახვის შემთხვევაში სახელმძღვანელო ვერ მიიღებს მაღალ შეფასებას. ასეთ სახელმძღვანელოს გრიფი არ მიენიჭება და ის მოსწავლემდე ვერ მივა.

**– როგორ შეიძლება გახდეს სახელმძღვანელოს ფასი ხელმისაწვდომი?**

– პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ეს საკმაოდ რთული საკითხია, რადგან ამ სექტორში ძალიან ბევრი მონაწილეა. ფასის დაწერა სახელმძღვანელოზე, თავისთავად, შეიძლება გაიაფებას არა, მაგრამ გაძვირების შეზღუდვას ნიშნავდეს. თუ მშობელი ნახავს, რომ სახელმძღვანელოს აწერია ფასი – 8 ლარი, 20 ლარს არ გადაიხდის. შეეცდება, გამომცემლობას დაუკავშირდეს ან ის მაინც ეცოდინება, რამდენად გაძვირებულ პროდუქტს ყიდულობს. ეს მისი, როგორც მომხმარებლის, უფლების დაცვაა. ამრიგად, ფასის დაფიქსირებით ხელი შეეშლება ფასების სპეკულაციურ ზრდას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ხუთწლიანი გრიფირების ვადა იძლევა იმის საშუალებას, რომ სახელმძღვანელოების მეორადი ბაზარი უფრო მეტად განვითარდეს. პარალელურად, სახელმწიფო ხარჯავს ძალიან დიდ თანხას პირველკლასელებზე, არაქართულენოვან სკოლებზე, სოციალურად შეჭირვებულ მოსწავლეებზე და მათთვის ყიდულობს სახელმძღვანელოებს. როდესაც ამ სახელმძღვანელოებს 5-წლიანი ვადა აქვთ, ესეც ერთ-ერთი სტიმულია, რომ წიგნები სკოლებში დარჩეს და 5 წლის განმავლობაში იქნეს გამოყენებული.

ფასის შემცირების სხვადასხვა სქემას შორის ერთ-ერთია ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართვა ამ საკითხის მოგვარებაში.

→ გვერდი 2

# გაუხუნარი სელჯუკური ვარიაციები

სელჯუკეთის პრინცმა ქეიხუსრევმა ქართველ დედოფალს, თამარ მეფის შვილიშვილს – გურჯი ხათუნს მარადიული სიყვარულის ნიშნად ვერცხლის მონეტა მიუძღვნა. პრინცს სურდა, მონეტაზე ხათუნის პორტრეტი გამოეხატა, მაგრამ ამას მათი რელიგია კრძალავდა. შეყვარებულმა ქეიხუსრევმა ასეთ ხერხს მიმართა: გრძნობის ნიშნად მონეტაზე შეყვარებული მზე და ლომი გამოსახა, მზის წრეში ხათუნის პორტრეტი ჩახატა, ხოლო ლომის თავში – თავისი. ეს მეცამეტე საუკუნეში მოხდა. ვერცხლის მონეტა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში წარმოდგენილი ექსპოზიციის – „თურქეთი ქართულ ხელოვნებაში“ ყველაზე „ხანდაზმული“ ექსპონატია.

→ გვერდი 9

# 2010-11 წლებში მოსალოდნელი სიახლეები

*პირველი გვერდიდან*

**– ჩვენმა გაზეთმა ჩაატარა გამოკითხვა სახელმძღვანელოების ფასთან დაკავშირებით. გამომცემლები ფასის დაწევის ერთ-ერთ რეალურ გზად სახელმძღვანელოებისთვის შემოტანილ ქაღალდზე გადასახადის მოხსნას მოიაზრებენ. ამ შემთხვევაში, ფასმა, შეიძლება, 18%-ით დაიწიოს. ეს გზა ხომ არ განიხილება?**

– ეს გზა, ამ ეტაპზე, ჩვენი გადასაწყვეტი არ არის. ჩვენ ამ სფეროში კომპეტენტურები არ ვართ. რა თქმა უნდა, ეს ერთ-ერთი გზაა, მაგრამ ჩვენს კომპეტენციას სცილდება.

**– მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე საუბარი „დედა ენასაც“ შეეხო. რა შეიძლება შეიცვალოს ამ მიმართულებით?**

– დღეს ჩვენ ბევრი ალტერნატიული სახელმძღვანელო გვაქვს სხვადასხვა კლასში. ვფიქრობთ, ეს დიდი არჩევანი კარგია მაშინ, როდესაც ყველა სახელმძღვანელო ძალიან კარგი ხარისხისაა. როდესაც სახელმძღვანელოს ხარისხზე კონტროლი არ არის არც პერმანენტული და არც მკაცრი, ბუნებრივია, ეს არ არის კარგი. გამომდინარე აქედან, პირველი კლასის სახელმძღვანელოებიც ამ თვალსაზრისით იქნება შეფასებული. რა თქმა უნდა, არსებობს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ ადაპტირებული ვერსიები. ეს ისეთი საგანძურია, რომელიც, ბუნებრივია, არ უნდა დავკარგოთ, თუმცა, მაღალი ხარისხის სხვა სახელმძღვანელოსაც აქვს არსებობის უფლება. ჩვენ არ უნდა შევზღუდოთ მასწავლებლების აკადემიური თავისუფლება.

**– წელს ძალიან ბევრი „დედა ენა“ იყო შეთავაზებული.**

– დიახ, წელს ყველაზე მეტი რაოდენობა – 10-მდე „დედა ენა“ შესთავაზეს სკოლებს.

**– რაც შეეხება სკოლებში „დედა ენის“ ადაპტირებული ვერსიის დაბრუნების რეკომენდაციის გაცემას, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ მომავალში მხოლოდ ერთი „დედა ენა“ იქნება?**

– ამაზე, ბუნებრივია, ექსპერტები იმუშავებენ. „დედა ენა“ არის ჩვენი უნიკალური კულტურული და სულიერი მემკვიდრეობა, ამავდროულად, ეს არის მეთოდიკა, როგორ ასწავლო მშობლიური ენა ბავშვს, რომელსაც შეხება არ ჰქონია ბგერასთან, ასოსთან. ამ მეთოდიკაზე დაფუძნებული ნებისმიერი შინაარსის ტექსტი მისაღებია. მთავარია, ეს უნიკალური მეთოდიკა, რაც გოგებაშვილმა დაგვიტოვა, არ დავკარგოთ. ეს არის ყველაზე პრინციპული. თვითონ იაკობ გოგებაშვილმა „დედა ენა“ რამდენჯერმე გადაამუშავა. ის წერდა, რომ სწავლება უნდა ეფუძნებოდეს იმ თანამედროვეობას, იმ გარემოს, სადაც ბავშვი იზრდება. უაღრესად პროგრესული ადამიანი იყო და შექმნა უნიკალური მეთოდოლოგია ჩვენთვის, ქართული ენის სწავლებისთვის.

**– მაგრამ ეს არ იქნება ერთადერთი „დედა ენა“ პირველ კლასში, მასწავლებელს არჩევანის საშუალება ექნება?**

– ვნახოთ, რას გვიჩვენებს სახელმძღვანელოების შეფასების პროცედურები.

**– საინტერესოა, როდის დაიწყება ახალი სასწავლო საგნების სწავლება სკოლებში?**

– ახალი საგნები – საინფორმაციო ტექნოლოგიები, ფიზიკური აღზრდა და სასპორტო განათლება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, მსოფლიო კულტურა – ჯერ პილოტირებას გაივლის, რომ რაიმე ხარვეზი არ გამოგვეპაროს. პილოტირების დროს ეს ადგილი შესაცვლელია. თუ როგორ უნდა ჩაჯდეს ეს ოთხი საგანი სქემაში, ამას სასწავლო გეგმა განსაზღვრავს – რა საათობრივი დატვირთვით, რა შინაარსით, რა მეთოდოლოგიით...

**– ოთხივე საგანი სავალდებულო იქნება?**

– გააჩნია, რა დონეზე. იგივე საინფორმაციო ტექნოლოგიები შეიძლება იყოს სავალდებულოც და არჩევითიც, ანუ გარკვეულ ეტაპებზე ხდება სავალდებულო, გარკვეულ ეტაპზე, ვთქვათ მაღალ საფეხურზე – არჩევითი. იგივე მსოფლიო კულტურა – რაღაც ეტაპზე შეიძლება არჩევით საგნებში იყოს, რაღაც ეტაპზე კი სავალდებულო საგნებში გადავიდეს. ასევეა სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების შემთხვევაშიც. რაც შეეხება ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს, ყოველთვის დამოუკიდებელი საგანი იქნება, იმიტომ რომ ეს არის ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა, ადამიანის ფიზიკური კულტურა, ამიტომ ცალკე საგანი იქნება.

**– სპორტის რამდენი სახეობის არჩევის უფლება ექნება სკოლას?**

– ერთ სახეობას სკოლა ვერ აირჩევს. პირველ რიგში, სკოლას სათანადო ინფრასტრუქტურა უნდა ჰქონდეს, მიუხედავად იმისა, სპორტის რომელ სახეობას ირჩევს. მეორე მხრივ, სკოლებში სწავლობენ სხვადასხვა ასაკისა და სქესის ადამიანები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მაშინ როცა ჩვენ მათემატიკაში არ ვყოფთ კლასს სქესის მიხედვით, სპორტში ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. აქედან გამომდინარე, სკოლას ერთი სახეობის არჩევანის უფლებას ვერ მივცემთ. მაგალითად, სკოლამ ჭიდაობა რომ აირჩიოს, გოგონები დაიჩაგრებიან.

თუ რამდენი სახეობის არჩევა შეეძლება სკოლას, ამას გადაწყვეტს კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან ჩვენი ცენტრის, სამინისტროს, სპორტის ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სპორტული ფედერაციების, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და ფიზიკური აღზრდის მოქმედი მასწავლებლები. ეს კომისია განსაზღვრავს სტრატეგიას. დამტკიცდება სპორტის სახეობათა ნუსხა, განისაზღვრება მოსწავლეთა ასაკობრივი დატვირთვის დოზები და ინტენსიობა.

ძალიან მნიშვნელოვანია ფიზიკური აღზრდის ამჟამად მოქმედი მასწავლებლების ხელშეწყობა – გადამზადება ან მათთვის გარკვეული ინსტრუქციების მიწოდება. ეს ინსტრუქციები სპორტის ყველა სახეობაში უნდა შემუშავდეს – როგორ უნდა ისწავლებოდეს ესა თუ ის სახეობა.

**– ვთქვათ, სკოლამ სამი ან ოთხი სახეობა აირჩია, მათი სწავლება სკოლის ბაზაზე უნდა განხორციელდეს თუ გამოყენებული იქნება ახლომდებარე სპორტული დარბაზები? სკოლებში მსგავსი ინფრასტრუქტურის შექმნას, ალბათ, დიდი დრო და რესურსი დასჭირდება, შეიძლება, არც აღმოჩნდეს სათანადო ფართობი. გასათვალისწინებელია სკოლების მდგომარეობა რეგიონებში.**

– ეს დეტალები ჯერ განსაზღვრული არ არის, თუმცა ყველა რესურსი უნდა გამოვიყენოთ ამ საქმისთვის.

მართალია, სკოლა თავისით ირჩევს სახეობებს, მაგრამ შემდეგ ამ არჩევანის შეფასება ხდება. ბუნებრივია, თუ სკოლას არც თვითონ აქვს აუზი, არც მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის და არც ისეთ მანძილზე, სადამდეც სკოლა მოსწავლეების უსაფრთხო ტრანსპორტირების უზრუნველყოფას შეძლებს, იმ სკოლას არავინ ეტყვის, რომ ცურვა აირჩიოს. სტრატეგიაში ჩაიდება სკოლის რესურსების შეფასების ეს სქემაც იმისთვის, როგორ განახორციელოს სპორტის ამა თუ იმ სახეობის სწავლება. კარგი იქნება ყველანაირი სპორტული ინფრასტრუქტურის გამოყენება. მთავარია, საგაკვეთილო საათები ისე დავგეგმოთ, რომ მოსწავლეს ამის გამოყენება შეეძლოს. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სპორტს ბოლო გაკვეთილები ეთმობა და, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებს გაერთიანებული მეცადინეობები უტარდებათ. რა თქმა უნდა, დაწყებითი საფეხურის ბავშვს განსხვავებული დატვირთვა უნდა ჰქონდეს, მაგრამ რაც შეეხება ზედა საფეხურის მოსწავლეებს, მათი გაერთიანება დასაშვებია. თუ კვირაში სპორტს 4 საათი დაეთმობა, შეიძლება ორი დღე ორორი საათი გაერთიანდეს მეცადინეობა, საიდანაც საათნახევარი სუფთად სპორტს დაეთმობა და სავსებით საკმარისი იქნება. ამავე დროს მოედნის პრობლემაც მოიხსნება, რადგან ახლომდებარე სპორტულ კომპლექსზე მისვლაც შესაძლებელია.

**– როდის შევა სკოლებში სპორტის გაკვეთილები – რომელ სასწავლო წელს?**

– ჩვენ ძალიან გვინდა, რომ ეს საგანი რაც შეიძლება მალე შევიდეს სკოლაში, რადგან დანამდვილებით ვიცით, რომ არსებული სქემით ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები ეფექტურად არ ტარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ბავშვები ენერგიას ვერ ხარჯავენ ისე, როგორც ეს ჩვენ, მშობლებს და მათ პედაგოგებს გვინდა – ეზიარონ ფიზიკურ კულტურას, იყვნენ ჯანმრთელები. ამიტომ სასურველია, მალე შევიდეს ეს საგანი სკოლებში. თუმცა, ვიმეორებ, თითოეული სკოლის შესაძლებლობა უნდა შეფასდეს.

**– ახალი საგნებიდან, ალბათ, ყველაზე მეტ ინტერესს კულტურის ისტორია იწვევს. რას შეისწავლის ეს საგანი?**

– პრეზიდენტმა ბრძანა: საქართველო, როგორც მსოფლიო კულტურის ნაწილი და ზოგადად კულტურა და მასში საქართველო. ან პირიქით, საქართველოს პერსპექტივიდან დანახული მსოფლიო კულტურა, რადგან სამყარო ერთგვარი ზიარი ჭურჭელია. ამ საგანში მოიაზრება მსოფლიო კულტურის ისტორია. ეს თემები, გარკვეულწილად, ინტეგრირებულია საზოგადოებრივი მეცნიერებების და ესთეტიკური ბლოკის საგნებში და მოიცავს მხატვრობას, მუსიკას, არქიტექტურას, სხვადასხვა მიმდინარეობებს. ახალი საგნის ფარგლებში კი შესაძლებელი იქნება ამ ელემენტების ისტორიულ, სოციალურ, რელიგიურ, ეთნიკურ, გეოგრაფიულ, პოლიტიკურ და ა.შ. კონტექსტში გააზრება და გამთლიანება. ჯერჯერობით ეს საპილოტე პროგრამა იქნება.

**– ვინ უნდა ასწავლოს ეს საგანი?**

– შეიძლება ასწავლოს ხელოვნების ისტორიის სპეციალისტმა ან ისტორიკოსმა. როცა დაიწერება სტანდარტი და როცა ჩამოყალიბდება შესასწავლი თემების ნუსხა, შეიქმნება სახელმძღვანელო. საგანი მოიცავს თანამედროვე კულტურასაც, იმავე მასკულტურას, მოდის ინდუსტრიას – როგორ ყალიბდებოდა მოდა. ძალიან ბევრი თემის დაფარვა შეიძლება ეროვნული იდენტობის კუთხითაც და უფრო ფართო ხედვითაც – შენ სად ხარ მსოფლიო კულტურაში, შენ, როგორც საქართველოს მოქალაქე. ამიტომ, ვფიქრობ ძალიან საინტერესო საგანი იქნება. მე რომ სკოლაში ვიყო და არჩევანის საშუალება მქონდეს, სიამოვნებით შევისწავლიდი ამ საგანს.

**– ეს საგანი არჩევითი იქნება?**

– მხოლოდ კარგი საექსპერტო დასკვნის შედეგად შეგვეძლება იმის განსაზღვრა, თუ როგორ მივაწოდოთ ეს საგანი მოსწავლეს – როგორც სავალდებულო თუ როგორც არჩევითი. ახლა ვმუშაობთ კონცეფციაზე და საპილოტედ, ალბათ, მალე მომზადდება.

**– ოთხივე ახალი საგნის პილოტირება დაიწყება 2010-2011 სასწავლო წელს?**

– სასურველია, რომ ფიზიკური აღზრდა და სპორტი შევიდეს ყველა სკოლაში, ასევე კომპიუტერი და სამოქალაქო თავდაცვაც. რა თქმა უნდა, სასურველია ყველა საგანი დროულად შევიდეს, ვნახოთ როგორი მზაობა დაგვხვდება სკოლებში. თუმცა ვიცით, რომ ახალი საგნების შეტანას სჭირდება პედაგოგების მომზადება. ამიტომ ეს ერთობლივად სამუშაო პროცესია.

ეს ყველაფერი რომ გავაერთიანოთ და ერთ ფუნდამენტზე ვილაპარაკოთ, ეს არის ერთიანი სასწავლო გეგმა, რომელიც კიდევ ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიახლეა. ვფიქრობთ სასწავლო გეგმის მეორე რედაქციით განახლება-განვითარებას. ეს იმას ნიშნავს, რომ კონცეპტუალურად მოხდება მისი შეფასება-განვითარება, ახალი საგნების გააზრება მოხდება ახალ საათობრივ ბადეში, გადაიხედება და დაიხვეწება სტანდარტები, დაფიქსირდება სწავლა-სწავლების ლოგიკურობა და დადგინდება, სად არის წყვეტა, რადგან ადრე ბევრჯერ შეიცვალა სასწავლო გეგმა და ა.შ. ეს დოკუმენტი, როგორც გითხარით, სექტემბერში იქნება მზად. იმუშავებს ექსპერტებისგან, მეცნიერებისგან და მასწავლებლებისგან შემდგარი 23-ზე მეტი საგნობრივი ჯგუფი. არის კიდევ მიმართულებების კომისიები, შედგება მეთოდური საბჭოები. ძალიან მოტივირებულები ვართ, რომ შეიქმნას კარგი დოკუმენტი – ფუნდამენტი, რომელზედაც შემდეგ ზოგად განათლებას დააშენებ.

*ესაუბრა* ***ლალი თვალაგეიშვილი***


ZogadiUnarebi.ge
ონლაინ მომზადება

აცხადებს **კონკურსს:**

- **საუკეთესო სკოლა**
- საუკეთესო "ანალიტიკურად მოაზროვნე"
- საუკეთესო "ანალიტიკურად მოაზროვნე" IX კლასელი
- საუკეთესო "ანალიტიკურად მოაზროვნე" X კლასელი
- საუკეთესო "ანალიტიკურად მოაზროვნე" XI კლასელი
- საუკეთესო "ანალიტიკურად მოაზროვნე" XII კლასელი

**პირველად საქართველოში!**

**online მომზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის ზოგად უნარებში**

მომზადების კურსი მოიცავს როგორც ვერბალურ, ისე მათემატიკურ ნაწილს და შედგება 56 გაკვეთილისგან. სასწავლო კურსი შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების ცენტრის მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით. გაკვეთილები დალაგებულია თემების მიხედვით „მარტივიდან – რთულისაკენ",რაც საშუალებას იძლევა თითქმის ყველამ თავისუფლად დასძლიოს პროგრამა, წარმატებით ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები და ჩაირიცხოს სასურველ უნივერსიტეტში.

Online მომზადების კურსდამთავრებულთა შორის ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი ქულის მფლობელს 2010-2011 სასწავლო წელს დაენიშნება სტიპენდია თვეში 100 ლარი.

**გისურვებთ წარმატებებს!**

**დაწვრილებითი ინფორმაცია იხ. www. zogadiunarebi.ge**

# დევნილი პედაგოგები პასუხს ხელისუფლებისგან ელიან

3 თებერვალს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან სამაჩაბლოდან და კოდორიდან დევნილი100-მდე პედაგოგი შეიკრიბა. აქციის მიზანი დევნილი პედაგოგების ჟურნალისტებთან შეხვედრა იყო, რათა მასმედიის საშუალებით ხმა მიაწვდინონ ხელისუფლებას.

**ნანული ბურძგლა**, ხეითის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი: *„ჩვენი მოთხოვნაა, დევნილ პედაგოგებს დაგვიბრუნონ ის ხელფასები, რომელსაც დევნილობის შემდეგ, სახელმწიფო კონპენსაციის სახით გვიხდიდა. მე ხეითის საჯარო სკოლის დირექტორი ვიყავი, ხელფასს 290 ლარს ვიღებდი. დეკემბრიდან ხელფასები შეგვიწყვიტეს. გვეუბნებიან, აღარ გეკუთვნით, პროგრამა დამთავრდაო. ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენ არაფერი აღარ გვაქვს, სახლები გადაგვიწვეს, გაგვძარცვეს. მხოლოდ სიცოცხლე შეგვრჩა და იმის უფლებასაც არ გვაძლევენ. ჩემი ოჯახისთვის ჩემი ხელფასი იყო ერთადერთი საარსებო წყარო. მე ვთხოვ საქართველოს პრეზიდენტს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ნუ წაგვართმევენ ჩვენ კუთვნილ ხელფასს. ჩემს უკან ჩემი 8-სულიანი ოჯახი დგას. დევნილი პედაგოგები დაზღვეულები არ ვართ, ინდივიდუალურად არ გვაზღვევენ, არანაირი შეღავათები ჩვენთვის არ არსებობს. რა ვქნათ, ვის მივმართოთ, რითი ვიარსებოთ? სიცოცხლე ჩვენც ხომ გვინდა?! ხეითის საჯარო სკოლას ჩემი შრომა და ენერგია შევალიე, ავსტრიელების დახმარებით თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა ავაშენეთ. ამჟამად მოქმედი პედაგოგი აღარ ვარ, მინდა ვიმუშაო, მაგრამ არავის ვჭირდები. როცა თბილისში იძულებით ჩამოვედით, სამსახური მოვითხოვე, მაგრამ ჩემი თხოვნა არავის გაუთვალისწინებია, დამლაგებლის ადგილიც კი არ აღმოჩნდა ჩემთვის. მასწავლებელთა სერტიფიცირებას გავივლი, მაგრამ დებულებაში რომ წერია, მასწავლებელი სათანადოდ უნდა გამოიყურებოდეს, რას ნიშნავს ეს?ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელია. დღეს რაც მაცვია, ყველაფერი ახლობლების მოცემულია. როგორ უნდა გამოვიყურებოდე სათანადოდ, როცა არანაირი შემოსავალი აღარ მაქვს. რითი ვიყიდო სათანადო ტანსაცმელი, როცა არსებობის საშუალებაც აღარ მაქვს. მართლის მთქმელს, ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო. ძალიან ბევრი პედაგოგია, რომელიც პრობლემებზე ხმამაღლა ვერ საუბრობს, ეშინიათ, უარეს დღეში არ აღმოვჩნდეთო. მაშინ ხომ კარგი მასწავლებლები ვიყავი, როცა 1991 წელს, ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს ზურგჩანთა აკიდებული გორში ტყეზე გადმოვედი, ჩემი სკოლისთვის სასექტემბროდ წიგნები რომ გადმომეტანა, საკუთარ სიცოცხლეს რისკის ქვეშ ვაყენებდი, ყოველ წამს შეიძლებოდა მოვეკალი და ფიზიკური შეურაცყოფა მოეყენებინათ, მაგრამ სკოლისთვის არასოდეს მიღალატია.*

*ჩემი ერთადერთი მოთხოვნა, ხელისუფლების წარმომადგენლებთან ან განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან შეხვედრაა. გაგვეს აუბრონ, გვითხრან რას გვპირდებიან, რისი იმედით უნდა ვიცხოვროთ. გთხოვთ, მასმედიამ მაინც მიიტანეთ ხელისუფლებამდე ჩვენი დიდი სატკივარი, რათა ცოტაოდენი იმედი მაინც გვქონდეს მომავლისა“.*

**თამარ წერედიანი**, გენწვისის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი: *„დღეს, ძირითადად, ის დევნილი პედაგოგები შევიკრიბეთ, ვინც არ ვმუშაობთ. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, კომპენსაციის სახით ვფინანსდებოდით, 280 ლარს ვიღებდი. იანვრიდან ეს თანხა აღარ გვეძლევა. პირადად მე და ჩემი ოჯახი დღემდე ნათესავთან ვცხოვრობთ. ჩვენ აფხაზეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვეკუთვნით, როცა თბილისში ჩამოვედით არანაირი შემოთავაზება არ ყოფილა დასაქმებაზე. ხელის ერთი მოსმით მოგვიცილეს, არავინ ზრუნავს ჩვენზე, პასუხს არავინ გვაძლევს. ერთადერთი, ვინც თანადგომას გვიწევს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირია. დევნილი პედაგოგების გარკვეულ ნაწილს ბანკებიდან 1000-3000 ლარის ოდენობის კრედიტები გვქონდა გამოტანილი. გვინდოდა კრედიტით ყოფითი პირობები მოგვეწესრიგებია. 3 თვეში ყველაფერი დავკარგეთ, დევნილობის შემდეგ არანაირი შეღავათი არ გაუწევია სახელმწიფოს, რომ რაღაცნაირად დაგვხმარებოდა კრედიტების დაფარვაში. კრედიტს, მართალია გაჭირვებით, მაგრამ ჩვენი კუთვნილი ხელფასით მაინც ვფარავდით. თუმცა, კომპენსაციის შეწყვეტის შემდეგ, სახელმწიფომ აღებული კრედიტების გამო, დევნილებისათვის განკუთვნილი 28 ლარიც დაგვიბლოკა. ჩვენ არა ერთხელ მივმართეთ პარლამენტს, სამთავრობო ორგანიზაციებს, რომ დონორი ქვეყნების მიერ გაღებული თანხებიდან იქნებ დევნილ პედაგოგებს კრედიტების დაფარვაში დაგვხმარებოდნენ. თხოვნას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია, პასუხის ღირსადაც არავინ გვთვლის. როცა სახელმწიფოს ვჭირდებოდით მხარში ვედექით, მასწავლებლებს ჯარისკაცის ფუნქციაც კი გვქონდა შეთავსებული, 17 წლის განმავლობაში დიდი როლი ვითამაშეთ. დღეს კი არავის აღარ ვჭირდებით, საკუთარი სახლიც აღარ მაქვს, ცასა და მიწას შორის ვარ გამოკიდებული. ფანჯრიდან სკოლას რომ გადავხედავ, თვალები ცრემლით მევსება, უფუნქციოდ დარჩენილი ვგრძნობ, რომ აღარავის ვჭირდები“.*

აქციაზე შეკრებილ პედაგოგებთან ერთად, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ, რომლებმაც აქციის მონაწილეთა მოთხოვნების გარდა, ყურადღება მასწავლებელთა სერტიფიცირებაზეც გაამახვილეს. კერძოდ, ისინი მიიჩნევენ, რომ მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულება სერიოზულ გადახედვას საჭიროებს, ბევრი რამ დასახვეწი და გასათვალისწინებელია.

**ნატო გუბელაძე**, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საინფორმაციო უზრუნველყოფისა და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი: *„პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი არა ერთხელ დაეხმარა დევნილ პედაგოგებს. დეკემბერში, პროფკავშირების ორგანიზებით, მასწავლებელთა ფორუმი ჩატარდა, სადაც მოწვეული იყვნენ ხელისუფლებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის გარდა არავინ მოსულა და დევნილი პედაგოგების პრობლემებით არავინ დაინტერესებულა. რამდენიმე ხნის წინ, დევნილმა პედაგოგებმა პრეზიდენტის რეზიდენციასთან აქცია გამართეს, რათა ხმა მიეწვდინათ პრეზიდენტისათვის. მათი განცხადებები შესაბამის უწყებებში შევიდა, თუმცა, სამწუხაროდ, მოთხოვნებზე დევნილ პედაგოგებს არანაირი პასუხი არ მიუღიათ. დღევანდელ აქციაზე პედაგოგები, პირველ რიგში, იმ ხელფასების დაბრუნებას მოითხოვენ, რომელსაც დევნილობის შემდეგ, კომპენსაციის სახით იღებდნენ. სამწუხაროდ, წლევანდელ ბიუჯეტში ეს თანხა გათვალისწინებული არ არის. რაც შეეხება მეორე საკითხს, ეს არის მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულებაში ცვლილებების შეტანა. ჩვენი მოთხოვნაა, ზეპირ განცხადებებს, რომელთაც პრეზიდენტი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი აკეთებენ, მიეცეს ოფიციალური დოკუმენტის სახე და ჩაიწეროს დებულებაში“.*

*მაკა ყიფიანი*

**პროფესიული განათლება**

# „უპასუხოდ დარჩენილი კორესპონდენციები“ ახალი დეტალებით

მეოთხე წელია, ზუგდიდის პოლიტექნიკური კოლეჯის კოლექტივი ამაოდ ეძებს სამართალს იმ კანონდარღვევის გამო, რამაც დიდი ტრადიციების მქონე, ერთ-ერთი წარმატებული სასწავლებელი სრულ განადგურებამდე მიიყვანა.

გასულ წელს პრეზიდენტის ადმინისტრაციასაც მიმართეს კოლეჯის აწ უკვე ყოფილმა თანამშრომლებმა იმ იმედით, რომ ვინმე დაინტერესდებოდა საკითხის საფუძვლიანი შესწავლით. მაგრამ, როგორც წესი, წერილი განათლების სამინისტროს გადმოეგზავნა და შესაბამისად, არც არაფერი შეცვლილა. განათლების სამინისტროს პასუხი კოლეჯის კოლექტივის მორიგი აღშფოთების საბაბი შეიქნა. საპასუხო წერილიდან, რომელიც კოლეჯის თანამშრომლებმა უკვე გაუგზავნეს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, ირკვევა, რომ არც ამჯერად გაეცა არგუმენტირებული პასუხი სხვადასხვა ინსტანციაში ათასგზის დასმულ შეკითხვას – რატომ, ვისი ინტერესების დასაკმაყოფილებლად გაუშვეს სასწავლებელი ლიკვიდაციაში ან რატომ არ მიეცა ზუგდიდის პოლიტექნიკურ კოლეჯს პროფესიული სასწავლებლის ცენტრად გადაფუძნების უფლება, როცა საამისო ბაზა – ადამიანური რესურსებიდან დაწყებული ტექნიკური აღჭურვილობით, ფართით დამთავრებული – მას ჰქონდა. უფრო მეტიც, 2006-07 სასწავლო წელს სულ რამდენიმე პროფესიულ სასწავლებელს მიეცა მოსწავლეთა მიღების უფლება, მათ შორის იყო ზუგდიდის პოლიტექნიკური კოლეჯიც. მინისტრის №804 ბრძანებით სამი ტექნიკური მიმართულების სპეციალობა დაუმტკიცდა შესაბამისი სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით. როცა სამინისტროს გენინსპექციის ჯგუფი სასწავლებელს ამოწმებდა, ერთ-ერთ წევრს უთქვამს, მინისტრის წინაშე დავაყენებთ საკითხს თქვენი უმაღლეს პროფესიულ სასწავლებლად დაფუძნების თაობაზეო. ჩვენთვის უცნობია, იყო თუ არა განათლების მაშინდელ მინისტრთან ამ თემაზე საუბარი, მაგრამ ის კი ცხადია, რომ სრულიად საპირისპირო მოხდა.

დავუბრუნდეთ სამინისტროს მიერ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გაგზავნილ წერილს. მიუხედავად იმისა, რომ იგი საკმაოდ მოკლედ და ლაკონურადაა შედგენილი (სულ 2 პუნქტს მოიცავს), მასში მოხმობილი კანონები არასწორადაა ინტერპრეტირებული, რასაც კოლეჯის თანამშრომლები აფასებენ, როგორც პრეზიდენტის წინაშე თავის მართლებას და სიცრუესაც კი.

**საინტერესოა, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული ახალი პროფესიული ცენტრის გახსნა იქ, სადაც, თითქმის, სრულყოფილი ბაზა კარგა ხანია არსებობდა**

მაგალითად, კოლეჯის ლიკვიდაციის პროცესის დასაწყებად დაწერილი ბრძანება რამდენიმე კანონს ეფუძნება, მათ შორის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომელიც სინამდვილეში კანონში არ არსებობს, ის ძალადაკარგულია; ასევე არასწორადაა მითითებული „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილების და საქმიანობის წესის შესახებ“ მუხლები და პუნქტები, რადგან კანონი კი არეგულირებს რეფორმით გამოწვეულ რეორგანიზაციის საკითხებს, მაგრამ იგი არ ეხება იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (ამ შემთხვევაში სასწავლო დაწესებულებებს), რომელთაც 2009-2010 სასწავლო წლამდე აქვთ სალიცენზიო ვადა (ბრძანება ლიკვიდაციის პროცესის შესახებ კი 2009 წლის 12 აგვისტოს დაიწერა); არაერთი კანონი განმარტავს, როგორ უნდა მოხდეს რეორგანიზაცია და ოპტიმიზაცია და რა ელით ლიცენზირებულ საშუალო პროფესიულ სასწავლებლებს. „2009-10 სასწავლო წლის დაწყებამდე იურიდიული პირები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული ჰქონდათ პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია, ითვლებიან ლიცენზირებულად და უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ სალიცენზიო პირობებს“...

კოლეჯს ყველა პირობა ჰქონდა სასწავლო პროცესის განსახორციელებლად და შესაბამისად ლიცენზიასაც ფლობდა. ამიტომ, ამ მხრივ, არანაირი პრობლემა არ შექმნია.

იმავე წერილიდან ირკვევა, რომ პოლიტექნიკური კოლეჯის კოლექტივის წერილისა და შუამდგომლობების საფუძველზე, განათლების სამინისტროს არაერთხელ განუხილავს კოლეჯის პროფესიული სწავლების (სახელობო) ცენტრად გადაფუძნების საკითხი და გადაუწყვეტია უარი ეთქვა მისთვის, რადგან *„ზუგდიდში უკვე ფუნქციონირებს სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე ანხორციელებს ბაკალავრის, პროფესიულ უმაღლეს და სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს, ინსტიტუტის შენობა რეაბილიტირებული და შესაბამისად აღჭურვილია ინვენტარით, ჩარხ-დანადგარებით და ხელსაწყოებით. პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის „პროფესიული სასწავლებლის რეაბილიტაცია“ ფარგლებში 2008 წელს აშენდა და აღიჭურვა ახალი სახელოსნო“.*

**კოლეჯის საინიციატივო ჯგუფის შეკითხვებზე პასუხის გაცემა აუცილებელია არა მარტო კონკრეტული ადამიანების უფლებების დაცვის გამო, არამედ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეც**

რაც შეეხება შოთა მესხიას სახელმწიფო ინსტიტუტს – იგი იმ სასწავლებლის სამართალმემკვიდრეა, რომელიც 1996 წელს ერთწლიანი ხელშეკრულებით, კოლეჯის ბაზაზე დაარსდა ივ. ჯავახიშვილის თსუ ზუგდიდის ფილიალის სახელწოდებით, 30-პროცენტიანი სახელმწიფო დაფინანსებით. მას საჩუქრად გადაეცა ხუთსართულიანი შენობა, სისტემატურად უწევდნენ ფინანსურ დახმარებას, 11 წელი ისარგებლა კოლეჯის კუთვნილი უძრავ-მოძრავი სახელმწიფო ქონებით საიჯარო გადასახადის გადაუხდელად (კანონით იკრძალება ორი სსიპ-ის ერთ სასწავლო დაწესებულებაში ფუნქციონირება. განათლების სამინისტროს თანხმობით კი კოლეჯში, წლების განმავლობაში, ფუნქციონირებდა: თსუ ფილიალი, ქუთაისის უნივერსიტეტი, კერძო სამედიცინო სასწავლებელი!). ბოლოს, როცა ინსტიტუტმა კოლეჯის ქონების მითვისებაც მოინდომა და თანამშრომელთა წინააღმდეგობას წააწყდა, წასვლისას, თითქმის, გაძარცვული დატოვა შენობა (2006 წელს თსუ-მ უარი თქვა ზუგდიდის ფილიალზე, აგრეთვე მის მიერ დაკავებულ 1260 კვ.მ. ფართზე, რომელიც განათლების სამინისტრომ მაინც დაუტოვა სათაო უნივერსიტეტს!). აი, ეს ფილიალი, რომელსაც საკუთარი აღარაფერი ჰქონდა, 2007 წელს, ისევ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საფუძველზე, დაფუძნდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად, ხოლო უკვე 2008 წელს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ეწოდა შოთა მესხიას ზუგდიდის სახ. ინსტიტუტი. მის დაქვემდებარებაში შევიდა სენაკის აგრარულ-ეკონომიკური კოლეჯი და ზუგდიდის პროფესიული ლიცეუმი.

კოლეჯის ყოფილი დირექტორი ამბობს, რომ მცდელობის მიუხედავად, იგი ვერ შეხვდა მინისტრს, რომ პირადად გაერკვია კოლეჯის ირგვლივ შექმნილ ვითარებაში. შედეგად კი დაკანონდა 2006 წლიდან დაწყებული უკანონობა – 2009 წლის 12 აგვისტოს ბრძანებით კოლეჯის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება დაევალა ზუგდიდის რესურსცენტრს(!). კიდევ ერთი უკანონობა – პროფესიული სასწავლებლები არ შედის რესურსცენტრების კომპეტენციაში. კანონის მიხედვით, ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საინვენტარიზაციო კომისია უნდა შემდგარიყო ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და განათლების სამინისტროს მონაწილეობით.

კოლეჯის საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნა უცვლელია. ამჯერად ისინი, ბატონ დიმიტრი შაშკინთან შეხვედრას ითხოვენ. უპასუხეს, რომ ერთი თვის განმავლობაში ეს ვერ მოხერხდება. ახალი მინისტრის სახელზე კიდევ ერთხელ დაიწერა წერილი, დაისვა შეკითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა აუცილებელია არა მარტო კონკრეტული ადამიანების უფლებების დაცვის გამო, არამედ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეც. მართლაც საინტერესოა, რატომ არღვევს განათლების სამინისტრო მის მიერვე მიღებულ კანონებსა თუ გადაწყვეტილებებს, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული ახალი პროფესიული ცენტრის გახსნა იქ, სადაც, თითქმის, სრულყოფილი ბაზა კარგა ხანია არსებობდა და რომლის გონივრულად გამოყენების შემთხვევაში რეალური პერსპექტივა იქმნებოდა პროფესიული განათლების საპრეზიდენტო პროგრამის განსახორციელებლად ან რატომ დასჭირდა ახალდაფუძნებულ სასწავლებელს რეაბილიტაცია?

*ანა ფირცხალაიშვილი*

გამოკითხვა

# პედაგოგები სერტიფიცირების შესახებ

**პირველი თებერვლიდან მიმდინარეობს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებზე გამსვლელთა რეგისტრაცია. ამასთან დაკავშირებით რედაქციამ დაიწყო გამოკითხვა, თუ რას ფიქრობენ პედაგოგები ზოგადად სერტიფიცირებაზე, რა მოსწონთ და რა შენიშვნები აქვთ. გამოკითხვის შედეგებს სისტემატურად გამოვაქვეყნებთ. ვთავაზობთ პედაგოგებს, საკუთარი მოსაზრებები რედაქციაში მოგვაწოდონ.**

## თბილისის №23 საჯარო სკოლა

**მაკა ნადარეიშვილი,** ფრანგული ენის მასწავლებელი, სკოლის ხარისხის მენეჯერი: ჩემი ფუნქცია, ძირითადად, სკოლის აკრედიტაციაზე ზრუნვაა, ანუ პედაგოგებს მივაწოდო ამ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, ვცდილობთ, რომ მაქსიმალურად, ტრენინგების სახით თუ სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდებით, ასე ვთქვათ, გავამდიდროთ პედაგოგები და გადავცეთ ის გამოცდილება, რაც გვაქვს. ზამთრის არდადეგების განმავლობაში მათ, სურვილისამებრ, ჩაუტარდათ სკოლის ტრენინგი. გამოცდილების გაზიარება მათთვის ძალიან სასარგებლო იყო. ტრენინგები ჩავატარეთ კონკრეტულ პროფესიულ ჩვევებში. თუმცა ეს პროცესი დასრულებული არ არის, ანუ ჩვენ რამდენიმე ტრენინგი ჩავატარეთ და კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. ყველა პედაგოგი თანახმაა, მონაწილეობა მიიღოს გამოცდებში. სერტიფიცირებასთან დაკავშირებით ერთადერთი პრობლემა ის არის, რამდენად სამართლიანი იქნება გამოცდა. თუ ის მართლა გამჭვირვალე იქნება, ძალიან კარგი, მაგრამ უმრავლესობა რატომღაც ფიქრობს, რომ მათი გამოცდილება, მათი ცოდნა შეიძლება დაიკარგოს. სხვა შემთხვევაში არავინ არის გამოცდების წინააღმდეგი, პედაგოგები იმასაც ამბობენ, რომ მოემზადებიან, რადგან აქ მხოლოდ საგანი არ ბარდება, არამედ პროფესიული უნარ-ჩვევებიც, რაც შედარებით ახალია მასწავლებლებისთვის.

**ლელა მჭედლიძე**, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი: ბუნებრივია, ვიცნობთ ახალ დებულებას. პირადად ჩემთვის მისაღებია იმდენად, რამდენადაც სკოლას სჭირდება თანამედროვედ მოაზროვნე მასწავლებელი, გადამზადებული პედაგოგი. ახალი მიდგომები ძალიან საინტერესოა, თავად ბავშვებსაც მოსწონთ. პირადად მე და ჩემმა კოლეგებმა არაერთი ტრენინგი გავიარეთ, ჩვენი სკოლა ზრუნავს ჩვენი მომზადებისთვის. სკოლაში გვყავს ტრენერი პედაგოგები, რომლებიც ტრენინგებს გვიტარებენ, გარდა ამისა, პირადად მე არაერთი ტრენინგი მაქვს გავლილი და, რა თქმა უნდა, გამოცდებზე გასვლას ვაპირებ.

მომეწონა ჩვენი მინისტრის, დიმიტრი შაშკინის მიერ მოტივაციაზე ასეთი ხაზგასმა. მართლაც სჭირდება პედაგოგს მოტივაცია. ჩემი მოსწავლეები – უფროსკლასელები მეკითხებიან: – მასწავლებელო, თქვენ თუ აპირებთ გამოცდაზე გასვლას? რა თქმა უნდა, აუცილებლად ვაპირებ, რადგან ეს პრესტიჟის საქმეც არის. უკვე 23 წელია, პედაგოგი ვარ და მართლაც საჭიროა საკუთარი თავის გარკვეულ დონეზე გამოცდა.

თუმცა, არის სირთულეც, მაგ.: ქართული ენის პედაგოგისთვის არის ახალი ტერმინოლოგია და სირთულესაც, ძირითადად, ტერმინოლოგიაში ვხვდებით. დანარჩენი, პირადად ჩემთვის, მეტ-ნაკლებად მისაღებია. ამასთან, თუ სერტიფიცირებულ მასწავლებელს შესაბამისი ანაზღაურება მიეცემა, მაშინ მასწავლებელი უფრო მოტივირებული იქნება.

**ლარისა კიკიანი**, ისტორიის მასწავლებელი, კათედრის გამგე: ჩემი აზრით, სერტიფიცირება აუცილებელია, ამისავის კი სერიოზული მომზადებაა საჭირო. ხელფასებიც უნდა მოემატოს მაღალი ქულების მქონე პედაგოგს. ეს პრესტიჟიც არის და მოტივაციაც სერტიფიკატის ასაღებად. საუბარია მედიატორი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებაზე და ხელფასის შესაბამის ზრდაზე.

პირველი ეტაპის შედეგები ძალიან მნიშვნელოვანი იქნება იმ მხრივ, რომ ყველა ნახავს სერტიფიცირებულსა და არასერტიფიცირებულს შორის სხვაობას. თუ ხელფასი იქნება სერიოზულად მაღალი, დაჯდება მასწავლებელი, იმეცადინებს და აუცილებლად გავა გამოცდაზე. მშობლებიც ამბობენ, რომ ურჩევნიათ მათ შვილებს სერტიფიცირებული მასწავლებელი ასწავლიდეს. კარგი შედეგის მისაღებად ძალიან სერიოზული მუშაობაა საჭირო, ამისათვის კი მასწავლებელს დრო სჭირდება. მე ისტორიკოსი ვარ და ფილოლოგების, მათემატიკოსებისა და უცხო ენის სპეციალისტების შემდეგ აუცილებლად გავალ სასერტიფიკაციო გამოცდაზე. ვფიქრობ, არ იქნება რთული.

## თბილისის №63 საჯარო სკოლა

**ნანა მონიავა**, დირექტორი: მასწავლებელთა სერტიფიცირებას დადებითად ვაფასებ. ნებისმიერ სფეროში კადრების სერტიფიცირება მნიშვნელოვანია. როგორც სკოლის ხელმძღვანელს, მიმაჩნია, რაც მეტი კვალიფიციური პედაგოგი მეყოლება, მით უფრო წარმატებული იქნება ჩემი სკოლა. მასწავლებელთა სერტიფიცირება სკოლის აკრედიტაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. გამოცდების ჩაბარების მსურველ პედაგოგთა მოტივაციას კიდევ უფრო ამაღლებს პირობა ხელფასის გაზრდის შესახებ. ჩემი სკოლის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, პედაგოგთა უმრავლესობის სურვილია, სერტიფიცირება პირველ ეტაპზე გაიარონ.

მართებულად მიმაჩნია ისიც, რომ სტუდენტი ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სკოლაში მოხვედრამდე, სერტიფიცირებას გაივლის. სამწუხაროდ, პრაქტიკანტებში ძალიან დაბალი დონეა, ყველაზე შემაშფოთებელი ის ფაქტია, რომ მათ არ აქვთ ინტერესი, გახდნენ მასწავლებლები. პრაქტიკაზე იმიტომ კი არ მიდიან, რომ რაღაც ისწავლონ, არამედ მოვალეობას იხდიან. ყოველწლიურად, სკოლაში თითქმის 20-30 პრაქტიკანტი გვყავს. აქედან მხოლოდ, ორ სტუდენტს გამოვარჩევდი, რომლებიც მასწავლებლად დაიშვებიან. ეს ძალიან დიდი პრობლემაა. რა თქმა უნდა, კადრების ცვლილება აუცილებელია, მაგრამ ვისით შევცვლით ამ კადრებს, ეს სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს.

დარწმუნებული ვარ, ჩემი სკოლის პედაგოგები სერტიფიცირებას წარმატებით გაივლიან. საგამოცდო ტესტებში, რომლის ნიმუშებსაც გავეცანი, ნამდვილად არ არის ისეთი სირთულე, რომლის დაძლევაც საგნის პედაგოგს გაუჭირდება. თუ პედაგოგი ვერ ჩაბარებს გამოცდას ერთხელ, მეორედ, მესამედ, რასაკვირველია, ასეთი მასწავლებელი სკოლაში არ უნდა დარჩეს. სამომავალოდ, თავისთავად წამოვა მოთხოვნა, თუნდაც მშობლების მხრიდან, რომ სკოლაში მხოლოდ და მხოლოდ სერტიფიცირებულმა პედაგოგმა ასწავლოს.

**თამილა ხუროძე**, მათემატიკის მასწავლებელი: ჩემი აზრით, მასწავლებელთა სერტიფიცირება აუცილებელია. პედაგოგებმა გავიარეთ ტრენინგები, გავეცანით მის სპეციფიკას, გარკვეულწილად, მივიღეთ გამოცდილება. გამოცდის გავლის შემდეგ პედაგოგები სხვაგვარად შეხედავენ სწავლების კურსს, თუ როგორ უნდა ჩაატარონ თანამედროვე გაკვეთილები. გამოცდებისთვის შეძლებისდაგვარად ვემზადებით, ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე, მირჩევნია, გამოცდა ჩავაბარო და სერტიფიკატი მოვიპოვო.

სერტიფიცირების პირველ ეტაპს, შესაძლებელია, თან ახლდეს გარკვეული ხარვეზები, ეს ბუნებრივიცაა. იმედია, სამომავლოდ ბევრი რამ დაიხვეწება და პედაგოგების შენიშვნებიც გათვალისწინებული იქნება.

**ია გოგიაშვილი**, ინგლისური ენის მასწავლებელი: თავდაპირველად, როცა გავიგე, რომ ინგლისურში გამოცდა უნდა ჩამებარებინა, სიმართლე გითხრათ, ძალიან ვინერვიულე. როდესაც მასალებს გადავხედე, მივხვდი, სანერვიულო არაფერია. საგნის პედაგოგმა ეს აუცილებლად უნდა იცოდეს. სერტიფიცირებისთვის, რა თქმა უნდა, ვემზადები. იმედი მაქვს, წარმატებით მოვიპოვებ სერტიფიკატს. თუ ასე არ მოხდება, მაშინ ჩავთვლი, რომ სათანადოდ მომზადებული პედაგოგი არ ვარ და სკოლაში აღარ ვასწავლი. რასაკვირველია, სერტიფიცირებული პედაგოგის ხელფასი მაღალი უნდა იყოს.

**გურამ ტეფნაძე**, მათემატიკის მასწავლებელი: მართალია, მასწავლებელთა სერტიფიცირება ნებაყოფლობითია, მაგრამ პედაგოგებს შორის გარკვეული დაძაბულობა მაინც იგრძნობა. მასწავლებელთა უმრავლესობა მივიჩნევთ, რომ გამოცდაზე გასვლა აუცილებელია, თუმცა ძალიან ვნერვიულობთ. პირადად მე მიმაჩნია, რომ გამოცდებამდე ძალიან ცოტა დროა. ტრენინგი გავიარე, მაგრამ გარკვეული დაძაბულობის მომენტი მაინც მაქვს. ეს არ არის სრულყოფილი კურსი. ტრენინგმა მიჩვენა, რომ გამოცდა არც თუ ისე ადვილი იქნება.

დამეთანხმებით, რომ მოსწავლისთვის მასწავლებელი სამაგალითო უნდა იყოს. თუ გამოცდის შემდეგ პედაგოგი 100 ქულას ვერ მიიღებს და მხოლოდ 60 ქულის მოპოვებას შეძლებს, ეს, რა თქმა უნდა, მის რეპუტაციას დასცემს. ჩემთვის ცოტა რთული წარმოსადგენია, გამოცდაზე ჩაჭრილი პედაგოგი რამდენად შეძლებს გაკვეთილის წარმართვას.

რაც შეეხება ხელფასებს, ეს სერიოზული საკითხია. სერტიფიცირებული პედაგოგის ხელფასი თუ მხოლოდ 20 ლარით მოიმატებს, მოდით, ამას პედაგოგის მოტივაციას ნუ დავარქმევთ. ჩემი აზრით, სერტიფიცირებული მასწავლებლის ხელფასი 100 ლარით მაინც უნდა გაიზარდოს. სამწუხაროდ, პედაგოგები დებულებას კარგად არ ვიცნობთ. რა თქმა უნდა, თავისთავად, ყოველ სიახლეს თან ახლავს გარკვეული ხარვეზები, იმედია, პედაგოგთა მოთხოვნები, შენიშვნები მომავლისთვის გათვალისწინებული იქნება.

## თბილისის №192 საჯარო სკოლა

**ნანა გამდლიშვილი**, ფიზიკის პედაგოგი: სერტიფიცირება წლების წინაც გავიარე. რაც გინდა კარგი სპეციალისტი იყო, საკუთარ თავზე მუშაობა, სიახლეების გაცნობა აუცილებელია; დროსთან ერთად მოთხოვნებიც იცვლება და პედაგოგი ფეხდაფეხ უნდა მიჰყვეს ყველა სიახლეს. ეს უდავოა, მაგრამ სერტიფიცირებისთვის მასწავლებლის მომზადებაა საჭირო. ჩვენ ტრენინგებიც არ გაგვივლია. გამოცდა ნიშნის მოსაგებად კი არ უნდა ჩატარდეს, არამედ მასწავლებლის პროფესიული ზრდისთვის. ჩვენ კი მოსამზადებლად ცოტა დრო გვაქვს, არც ლიტერატურით ვართ უზრუნველყოფილი – მაინტერესებს, სახელმძღვანელოს უფასოდ მოგვაწვდიან თუ ჩვენ უნდა შევიძინოთ. ასე რომ, სერტიფიცირების ტექნიკური მხარე მოსაწესრიგებელია.

**იზოლდა გელაშვილი**, გეოგრაფიის მასწავლებელი: სასერტიფიკაციო გამოცდები ასე არ უნდა ტარდებოდეს. მოუმზადებლები ვართ. არ ვფლობთ საჭირო ინფორმაციას, არ ვიცით, რა მოგვეთხოვება კონკრეტულად, საგნის გარდა. მხოლოდ რამდენიმე დღის წინ მოგვიტანა სასწავლო ნაწილის გამგემ საჭირო სახელმძღვანელოების სია. არც ტრენინგები გაგვივლია, კომპიუტერის შემსწავლელი ერთკვირიანი ტრენინგები რომ გავიარეთ, არ შეიძლებოდა სრული კურსი გაგვევლო? ჩვენ ხომ სრულყოფილ ცოდნას მოგვთხოვენ გამოცდაზე. ძალიან მინდა ერთი ინტეგრირებული გაკვეთილი მოვისმინო ჩვენი ტრენერებისაგან, მოსწავლეები ჩვენ ვიქნებოდით მათი მსმენელი მასწავლებლები. დაგვანახონ, ჩვენთან თუ მიაღწევენ იმ შედეგს, რასაც ჩვენ უნდა მივაღწიოთ მოსწავლეებთან.

**როზა გოგუაძე**, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: ტესტირების გავლა მას შემდეგ უნდა მოსთხოვოს სახელმწიფომ მასწავლებელს, როცა ხელფასით უზრუნველყოფს. სწავლის ხარისხის შესანარჩუნებლად ეს აუცილებელი პირობაა. წესით, იმ დოკუმენტაციის აღებასაც უნდა აფინანსებდეს, რაც დებულებაშია მითითებული, პედაგოგთა ხელფასი რომ 70-90 ლარით იქვითება, განა ეს სამართლიანია? შეურაცხმყოფელია მასწავლებელს მოსთხოვო ცნობა ნასამართლეობის შესახებ ან ნარკოლოგიურიდან. მე არ ვიცი, გავალ თუ არა სასერტიფიკაციო გამოცდაზე, მაგრამ ვინც სერტიფიკატს მიიღებს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ხელფასი საგრძნობლად გაეზრდება.

**ლეილა ბერიძე**, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: მიმაჩნია, რომ სერტიფიცირება აუცილებლად უნდა ჩატარდეს, მაგრამ ჯერჯერობით იმდენად ქაოტურადაა ყველაფერი, არც ვიცი, რა იქნება. არც იმის მჯერა, რომ სერტიფიცირებულ პედაგოგს რაიმე პრივილეგია ექნება, ამის პრეცედენტი ერთხელ უკვე იყო და 5 თუ 7 ლარით მოგვემატა ხელფასი. გარდა ამისა, დროა ძალიან ცოტა. ტრენინგები კი გავიარეთ, მაგრამ ეს არაა საკმარისი. აუცილებელია, სკოლებში შესაბამისი ლიტერატურა დარიგდეს და დაკონკრეტდეს საგამოცდო საკითხები ყველა საგანში.

**გიორგი ყიფშიძე**, მათემატიკის მასწავლებელი: პედაგოგი გამუდმებით უნდა მუშაობდეს საკუთარ თავზე, მაგრამ როცა გამოცდა გაქვს ჩასაბარებელი, ბუნებრივია, მეტად ხარ მობილიზებული და მოტივირებულიც. ასეა ამ შემთხვევაშიც. მე ატესტაციის მომხრე ვარ. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლის წინ ჩატარებული ატესტაციის მოდელი არ მომეწონა, მაინც წინგადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია. პედაგოგისთვის პროფესიული ზრდა აუცილებელია და სერტიფიცირება ხელშემწყობი პირობაა. არის მეორე მხარეც – სერტიფიცირებული პედაგოგი პრივილეგირებულიც უნდა იყოს. ამბობენ, ხელფასი მოემატებათო, ეს მატება საგრძნობი უნდა იყოს. მართალია, ჩვენს სახელმწიფოს, ჯერჯერობით, არ აქვს იმის ფუფუნება, რომ თავისი მოქალაქე კეთილდღეობაში აცხოვროს, მაგრამ პედაგოგი სხვაგან არ უნდა ეძებდეს საარსებო წყაროს.

ოფიციალური დოკუმენტი

# მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულება

## თავი I.
## ზოგადი დებულებები

**მუხლი 1. რეგულირების საგანი**

ეს დებულება განსაზღვრავს მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის (შემდგომში – სასერტიფიკაციო გამოცდა) ჩატარების, მასწავლებლობის უფლების მოპოვების, სერტიფიკატის გაცემის, მასწავლებლობის უფლების განახლებისა და სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის ვადამდე ჩამორთმევის პირობებს.

**მუხლი 2. სერტიფიცირების მიზანი**

სერტიფიცირების მიზანია შესაბამისი მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველი პირის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობის დადგენა.

**მუხლი 3. რეგულირების სფერო**

1. ეს დებულება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, რომლებსაც სურთ სკოლაში მასწავლებლობის უფლების მოპოვება. აგრეთვე განსაზღვრავს სკოლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა (შემდგომში – სამინისტრო) და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი განათლების სამინისტროების ტერიტორიული ორგანოს – საგანმანათლებლო რესურსცენტრის (შემდგომში – რესურსცენტრი), საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) და საჯარო სამართლის იურიდიული პირის გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – გამოცდების ეროვნული ცენტრი) საქმიანობას მასწავლებლის სერტიფიცირების პროცესში.

2. ეს დებულება არ ვრცელდება იმ უცხო ქვეყნის მოქალაქე მასწავლებელზე, რომელსაც თავის ქვეყანაში მოპოვებული აქვს პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლება.

3. განსაკუთრებულ შემთხვევებში სამინისტროს გადაწყვეტილებით უცხო ქვეყნის მოქალაქე უფლებამოსილია პედაგოგიური საქმიანობა განახორციელოს სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე.

**მუხლი 4. ტერმინთა განმარტება**

დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს ამ დებულების მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადმინისტრატორი – გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული პირი, რომელიც პასუხისმგებელია საგამოცდო ცენტრში სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარებაზე.

ბ) ადმინისტრატორის თანაშემწე – პირი, რომელიც კურირებას უწევს და თვალყურს ადევნებს საგამოცდო სექტორებში სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარების პროცესის მიმდინარეობას.

გ) გამსწორებელი – გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული სპეციალისტი, რომელმაც გაიარა შესაბამისი სწავლება – გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგები და უფლებამოსილია გაასწოროს ტესტის პასუხების ფურცელი;

დ) დამკვირვებელი საზოგადოების წარმომადგენელი, რომელსაც ამ დებულების შესაბამისად გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მიანიჭა დამკვირვებლის სტატუსი;

ე) დამხმარე პერსონალი – გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული პირი;

ვ) დაშიფვრის ინდივიდუალური სისტემა – გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი კოდირების სისტემა;

ზ) კოორდინატორი – პირი, რომელიც ასრულებს ადმინისტრატორის მოადგილის უფლება-მოვალეობას, კოორდინაციას უწევს მეთვალყურეთა მუშაობას და უზრუნველყოფს ტესტების კონფიდენციალურობას;

თ) კურატორი – გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე, საგამოცდო ცენტრის მდებარეობის მიხედვით, დაქირავებული პირი, რომელიც კურირებას უწევს სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარების პროცესს;

ი) მასწავლებლობის კანდიდატი – „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის $21^3$ მუხლით დადგენილი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლის მიზნებისათვის დარეგისტრირებულია რესურსცენტრისა და ცენტრის მიერ;

კ) მეთვალყურე – გამოცდების ეროვნული ცენტრის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც საგამოცდო სექტორის ფარგლებში მეთვალყურეობას უწევს სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარების პროცესს;

ლ) რეგისტრატორი – პირი, რომელიც საგამოცდო ცენტრში ახორციელებს მასწავლებლობის კანდიდატთა რეგისტრაციას და ეხმარება სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარების პროცესის ადმინისტრირებაში მონაწილე პირებს წამოჭრილი ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში;

მ) სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველი (შემდგომში – პირი) – პირი, რომელსაც სურვილი აქვს ჩააბაროს მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა და რომელიც წარადგენს განაცხადს რესურსცენტრში;

ნ) საგამოცდო ბარათი – გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული მოწმობა, რომლის საფუძველზეც პირი დაიშვება სასერტიფიკაციო გამოცდაზე;

ო) საგამოცდო ცენტრი – სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების მიზნით, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ სპეციალურად მოწყობილი, შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი შენობა ან მისი ნაწილი;

პ) საგამოცდო სექტორი – საგამოცდო ცენტრის დანაყოფი, სადაც მასწავლებლობის კანდიდატები განთავსდებიან სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობისას;

ჟ) ტესტი – გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილი ტესტურ დავალებათა რვეული და პასუხების ფურცელი;

რ) ტექნიკური კონტროლი – სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცესზე დაკვირვების მეთოდი ვიდეო-აღჭურვილობის მეშვეობით.

## თავი II.
## მასწავლებლის სერტიფიცირების პროცედურა

**მუხლი 5. რეგისტრაცია რესურსცენტრში**

1. სასერტიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის მიზნით პირი სურვილის შესაბამისად მიმართავს ნებისმიერ რესურსცენტრს.

2. პირი უფლებამოსილია რესურსცენტრში რეგისტრაციაზე განაცხადი წარადგინოს იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის $21^3$ მუხლით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და გააჩნია მაძიებლობის პერიოდის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. სასერტიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს 2 თვეზე მეტი, განისაზღვრება ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

**მუხლი 6. რესურსცენტრში წარსადგენი დოკუმენტები**

1. პირი სასერტიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის მიზნით ავსებს და რესურსცენტრში წარადგენს ცენტრის მიერ დადგენილი ფორმის განაცხადს და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ფორმის ანკეტას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადის ფორმის რესურსცენტრისთვის მიწოდებას და ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებას უზრუნველყოფს ცენტრი, ხოლო ანკეტის ფორმის რესურსცენტრისთვის მიწოდებას გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებას – გამოცდების ეროვნული ცენტრი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პირის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და პირადი ნომერი (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით);

ბ) ჩასაბარებელი საგნის/საგნების ჩამონათვალი;

გ) მითითებას საგამოცდო ცენტრზე, რომელშიც პირს სურს სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;

დ) თანდართული საბუთების ნუსხა;

პირი განაცხადთან ერთად რესურსცენტრში წარადგენს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის 2 ასლს;

ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ ასლს;

გ) დოკუმენტს მასწავლებლობის მაძიებლის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსთან შესაბამისობის შესახებ;

დ) მასწავლებლობის უფლების მოპოვების საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, გარდა ამ დებულების 31-ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისისა;

ე) ცნობას ფუნქციონალური დარღვევის შესახებ, თუ პირს აქვს ისეთი ფუნქციონალური დარღვევა, რომელიც საჭიროებს სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს;

ვ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობას;

ზ) ცნობას ნასამართლეობის შესახებ;

თ) ერთ ფოტოსურათს (ზომით 3X4).

5. რესურსცენტრი, ამ დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დადგენილი რეგისტრაციის ვადის გასვლიდან 2 დღის ვადაში, ცენტრს უგზავნის ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ფორმის განაცხადის ასლს და მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტებს, ხოლო გამოცდების ეროვნულ ცენტრს - ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ანკეტას და მე-4 პუნქტის „ა“, „დ“, „ე“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

**მუხლი 7. გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ**

1. სასერტიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება ცენტრის მიერ რეგისტრირებული მასწავლებლობის კანდიდატი. ცენტრი რეგისტრაციაში ატარებს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 213 მუხლით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

2. მასწავლებლობის კანდიდატად რეგისტრაცია მოიცავს პირველად რეგისტრაციას რესურსცენტრში და საბოლოო რეგისტრაციას ცენტრში.

3. რესურსცენტრი პირს ატარებს პირველად რეგისტრაციაში, თუ პირის მიერ დოკუმენტაცია წარდგენილია ამ დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დადგენილ ვადაში და შეესაბამება ამ დებულების მე-6 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. თუ პირის მიერ რესურსცენტრში წარდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება ამ დებულების მე-6 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, რესურსცენტრი ვალდებულია განაცხადის შეტანიდან 5 დღის ვადაში დაადგინოს ხარვეზი და პირს ხარვეზის გამოსასწორებლად დამატებით განუსაზღვროს 10 დღის ვადა.

5. თუ პირი ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში არ გამოასწორებს ხარვეზს, რესურსცენტრის წარდგინებით ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

6. რესურსცენტრს პირის მასწავლებლობის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ მონაცემები განაცხადების მიღების პარალელურად შეჰყავს მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში. რესურსცენტრი პასუხისმგებელია მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში მის მიერ შეყვანილი მონაცემების სისწორეზე.

7. ამ დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული რეგისტრაციის ვადის დასრულებიდან 20 დღის ვადაში რესურსცენტრი უზრუნველყოფს მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში მასწავლებლობის კანდიდატების მონაცემების სრულად შეყვანას.

8. ცენტრი, რესურსცენტრის მიერ რეგისტრირებული მასწავლებლობის კანდიდატების მონაცემების გადამოწმებისა და მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში შეყვანილი მონაცემების სისწორის დადგენის მიზნით, რეგისტრაციის ვადის გამოცხადებიდან ყოველ 15 დღეში უზრუნველყოფს რესურსცენტრიდან მასწავლებლობის კანდიდატების თაობაზე ინფორმაციისა და ამ დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიღებას.

**მუხლი 8. მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული საინფორმაციო სისტემა და მასწავლებლობის კანდიდატების მონაცემთა ელექტრონული ბაზა**

1. მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემას ქმნის ცენტრი, რომლის მონაცემები მტკიცდება ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. ცენტრი უზრუნველყოფს მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში შეყვანილი მონაცემების პერიოდულ გადამოწმებას და განახლებას.

3. მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული საინფორმაციო სისტემის მონაცემები ხელმისაწვდომია ცენტრის და რესურსცენტრის უფლებამოსილი თანამშრომლებისთვის.

4. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების მიზნით, გამოცდების ეროვნული ცენტრი, რესურსცენტრიდან მიღებული დოკუმენტაციის საფუძველზე, ქმნის მასწავლებლობის კანდიდატების მონაცემთა ელექტრონულ ბაზას.

**მუხლი 9. საგამოცდო ბარათის გაცემა**

1. ცენტრი გამოცდების ეროვნულ ცენტრს არაუგვიანეს ყოველი წლის პირველი მაისისა წარუდგენს მასწავლებლობის კანდიდატების საბოლოო სიას.

2. გამოცდების ეროვნული ცენტრი საგამოცდო ბარათის გაცემას ახორციელებს მასწავლებლობის კანდიდატების მონაცემთა ელექტრონული ბაზის საფუძველზე.

3. გამოცდების ეროვნული ცენტრი, სასერტიფიკაციო გამოცდებამდე ორი კვირით ადრე, უზრუნველყოფს საგამოცდო ბარათების გადაცემას იმ რესურსცენტრისათვის, რომელმაც განახორციელა მასწავლებლობის კანდიდატის პირველადი რეგისტრაცია.

4. რესურსცენტრი საგამოცდო ბარათის გადაცემას მასწავლებლობის კანდიდატისათვის უზრუნველყოფს სასერტიფიკაციო გამოცდამდე გონივრულ ვადაში.

5. საგამოცდო ბარათი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სასერტიფიკაციო გამოცდის ნაწილების ჩამონათვალს;

ბ) საგამოცდო ცენტრის დასახელებას, სადაც უნდა გამოცხადდეს მასწავლებლობის კანდიდატი;

გ) სასერტიფიკაციო გამოცდის ნაწილების ჩატარების თარიღს და რეგისტრაციის დაწყების დროს.

→ 6

## ოფიციალური დოკუმენტი

**მუხლი 10. სასერტიფიკაციო გამოცდის დანიშვნა**

1. სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება წელიწადში ერთხელ, შესაბამისი წლის ივლისში. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღი ცხადდება ამ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მასწავლებლობის კანდიდატების საბოლოო სიის გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენიდან არაუმეტეს ორი კვირის ვადაში.

2. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღს, გამოცდების ეროვნული ცენტრის წინადადების გათვალისწინებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ადგენს მინისტრი, რომელიც ქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

**მუხლი 11. სასერტიფიკაციო გამოცდის შინაარსი**

1. საგამოცდო პროგრამა ეფუძნება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის №841 ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას და „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანებით დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს.

2. სასერტიფიკაციო გამოცდის პროგრამას გამოცდების ეროვნული ცენტრი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან შეთანხმებით, დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრს.

3. სასერტიფიკაციო გამოცდა შედგება შინაარსობრივი და უნარების ნაწილისაგან. სასერტიფიკაციო გამოცდა ჩაბარებულად ითვლება შინაარსობრივი და უნარების ნაწილის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სასერტიფიკაციო გამოცდის ნაწილის წარმატებით ჩაბარება გულისხმობს მინისტრის მიერ, გამოცდების ეროვნული ცენტრის წარდგინებით, დადგენილი მასწავლებლობის უფლების მოპოვებისთვის საჭირო ქულების დაგროვებას.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე არა უგვიანეს 2 თვისა.

6. სასერტიფიკაციო გამოცდის შინაარსობრივი ნაწილი ტარდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ საგნებში:

ა) ქართული ენა და ლიტერატურა (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აფხაზური და ქართული);

ბ) მათემატიკა;

გ) საზოგადოებრივი მეცნიერებები:

გ.ა) ისტორია;

გ.ბ) გეოგრაფია;

გ.გ) სამოქალაქო განათლება.

დ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

დ.ა) ფიზიკა;

დ.ბ) ქიმია;

დ.გ) ბიოლოგია.

ე) უცხოური ენები:

ე.ა) ინგლისური;

ე.ბ) გერმანული;

ე.გ) ფრანგული;

ე.დ) რუსული.

ვ) ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდის საგნები:

ვ.ა) ხელოვნება;

ვ.ბ) მუსიკა.;

ვ.გ) ფიზიკური აღზრდა.

**მუხლი 12. სასერტიფიკაციო გამოცდის ენა**

1. სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე.

2. სასერტიფიკაციო გამოცდა ასევე ტარდება რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე მასწავლებლობის იმ კანდიდატებისათვის, რომელთაც სურთ ასწავლონ შესაბამის არაქართულენოვან სკოლაში.

**მუხლი 13. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების ფორმა**

სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება წერილობითი ფორმით, ტესტირების გზით.

**მუხლი 14. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების დრო და ადგილი**

1. სკოლა და საჯარო სამართლის იურიდიული პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებისათვის უზრუნველყოფს მის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობებიდან საჭირო ფართისა და ინვენტარის გამოყოფას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

2. საგამოცდო ცენტრები განლაგებულია გამოცდების ეროვნული ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შენობებში.

3. სასერტიფიკაციო გამოცდა შესაბამის ნაწილში ყველა საგამოცდო ცენტრში მიმდინარეობს ერთდროულად, გამოცდების ეროვნული ცენტრის წარდგინებით, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი თარიღის შესაბამისად.

4. ფორს-მაჟორის არსებობის შემთხვევაში, გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება კონკრეტულ საგამოცდო ცენტრში სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღი.

**მუხლი 15. სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობის პროცესზე დასწრება**

1. სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობის დროს საგამოცდო ცენტრში დაშვებულია მხოლოდ შემდეგი პირების ყოფნა:

ა) პირი, რომელსაც აქვს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სპეციალური დოკუმენტი;

ბ) ადმინისტრატორი;

გ) ადმინისტრატორის თანაშემწე;

დ) კოორდინატორი;

ე) კურატორი;

ვ) მეთვალყურე;

ზ) დამკვირვებელი;

თ) რეგისტრატორი;

ი) დამხმარე პერსონალი.

2. სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობის დროს საგამოცდო სექტორში ყოფნის უფლება აქვს:

ა) კურატორს;

ბ) მეთვალყურეს.

3. სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობის დროს საგამოცდო სექტორში, საჭიროების შემთხვევაში, კურატორის ან მეთვალყურის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია იმყოფებოდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირები.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირის საგამოცდო ცენტრში ყოფნამ ხელი არ უნდა შეუშალოს სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობას. მას ეკრძალება ტესტის შინაარსთან დაკავშირებით მასწავლებლობის კანდიდატის დახმარება ან მისი მუშაობისათვის ხელის შეშლა.

5. პირი არ შეიძლება დანიშნულ იქნას ადმინისტრატორად, კოორდინატორად, ადმინისტრატორის თანაშემწედ, კურატორად, მეთვალყურედ, დამკვირვებლად და რეგისტრატორად იმ საგამოცდო ცენტრში, სადაც სასერტიფიკაციო გამოცდას აბარებს მისი ნათესავი.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებისთვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და მისი პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა და მათი შვილები;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

7. სასერტიფიკაციო გამოცდის ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარების მიზნით საგამოცდო ცენტრებში ტესტირების მიმდინარეობას თვალყურს ადევნებენ დამკვირვებლები. დამკვირვებელთა რაოდენობის განსაზღვრა, მათი დანიშვნა და საგამოცდო ცენტრებში განაწილება ხდება გამოცდების ეროვნული ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. დამკვირვებელი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი ან დამოუკიდებელი ფიზიკური პირი, რომელმაც გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში გააკეთა განაცხადი დამკვირვებლად რეგისტრაციის მოთხოვნით და რომელსაც გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მიენიჭა ან წილისყრით განესაზღვრა დამკვირვებლის სტატუსი. დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წილისყრა ტარდება იმ შემთხვევაში, თუ იმ პირთა რიცხვი, რომელთაც გააკეთეს განაცხადი დამკვირვებლად რეგისტრაციაზე, აჭარბებს საგამოცდო ცენტრში გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ დამკვირვებელთა ზღვრულ ოდენობას. წილისყრის შედეგები ფორმდება შესაბამისი ოქმით.

**მუხლი 16. საგამოცდო ცენტრში რეგისტრაცია**

1. სასერტიფიკაციო გამოცდის ნაწილის ჩაბარების მიზნით, მასწავლებლობის კანდიდატი ვალდებულია:

ა) დროულად გამოცხადდეს საგამოცდო ცენტრში რეგისტრაციაზე;

ბ) თან იქონიოს:

ბ.ა) საგამოცდო ბარათი;

ბ.ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ.გ) თუ დოკუმენტი/დოკუმენტები უცხო ენაზეა შედგენილი, ასევე ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

2. სასერტიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის დასრულების შემდეგ მასწავლებლობის კანდიდატი არ დაიშვება სასერტიფიკაციო გამოცდაზე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების გარეშე გამოცხადებული მასწავლებლობის კანდიდატი სასერტიფიკაციო გამოცდაზე არ დაიშვება.

4. სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობა მასწავლებლობის კანდიდატს ართმევს უფლებას მოითხოვოს დამატებითი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარება, მიუხედავად იმისა სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო თუ არა საპატიო მიზეზით.

5. საგამოცდო ცენტრში რეგისტრაცია მიმდინარეობს სასერტიფიკაციო გამოცდის დაწყებამდე ერთი საათის განმავლობაში.

6. გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს სპეციალურად მოწყობილ საგამოცდო სექტორში მასწავლებლობის იმ კანდიდატების განთავსებას, რომლებიც საჭიროებენ სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს (ფუნქციონალური დარღვევების მქონე პირები, გადამდები ინფექციური დაავადებების მქონე პირები და სხვა პირები).

7. მასწავლებლობის კანდიდატმა ცნობა რაიმე სახის ინფექციური დაავადების შესახებ გამოცდების ეროვნულ ცენტრში ან საგამოცდო ცენტრში უნდა წარადგინოს სასერტიფიკაციო გამოცდის დაწყებამდე.

8. რეგისტრაციის შემდეგ მასწავლებლობის კანდიდატი იკავებს ადგილს საგამოცდო სექტორში მისთვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდასთან.

**მუხლი 17. სასერტიფიკაციო გამოცდის დაწყება**

1. სასერტიფიკაციო გამოცდის დაწყებამდე, მასწავლებლობის კანდიდატის თვალწინ იხსნება ტესტების დალუქული შეკვრა.

2. ტესტზე მუშაობის დაწყებამდე, მასწავლებლობის კანდიდატი უნდა დარწმუნდეს, რომ მისთვის გადაცემული ტესტი არ არის დაზიანებული, რასაც იგი ადასტურებს საგამოცდო სექტორის უწყისში ხელმოწერით.

3. სასერტიფიკაციო გამოცდის დაწყებამდე ხდება პასუხების ფურცლის დაშიფვრა ინდივიდუალური სისტემით.

4. სასერტიფიკაციო გამოცდის დაწყებამდე საგამოცდო სექტორში განთავსებულ მასწავლებლობის კანდიდატებს კურატორი/მეთვალყურე განუმარტავს მათ უფლება-მოვალეობებს, სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებისა და ტესტის შევსების წესებს, რის შემდეგაც იწყება საგამოცდო დროის ათვლა, რომელიც განისაზღვრება გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და მითითებულია ტესტურ დავალებათა რვეულში. კურატორი/მეთვალყურე უზრუნველყოფენ, რომ დროის ათვლის დაწყებამდე მასწავლებლობის კანდიდატს არ ჰქონდეს ტესტზე მუშაობის დაწყების საშუალება.

**მუხლი 18. მუშაობა ტესტზე**

1. ტესტზე მუშაობის პროცესში მასწავლებლობის კანდიდატს შეუძლია გამოიყენოს ტესტურ დავალებათა რვეული, რომელიც რჩება საგამოცდო ცენტრში. ტესტურ დავალებათა რვეული ტესტის შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება.

2. ტესტზე მუშაობის პროცესში მასწავლებლობის კანდიდატს გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს გელიანი კალმით.

3. სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობისას მასწავლებლობის კანდიდატს უფლება აქვს თან იქონიოს:

ა) წყალი;

ბ) პირადი ჰიგიენის საგნები;

გ) ამ დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

4. სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობისას მასწავლებლობის კანდიდატს ეკრძალება:

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;

ბ) გამოცდაზე დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვათა გამოყენება;

გ) პასუხების ფურცლის შესავსებად ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გელიანი კალმის გარდა სხვა კალმის გამოყენება, აგრეთვე, პასუხების ფურცელზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის (სახელი, ნომერი, მისამართი და სხვა) ან რაიმე სახის ისეთი გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან;

დ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება, სხვა პირისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

ე) სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ თანმხლებ პირთან ერთად;

ვ) მერხზე ტესტის რვეულის, პასუხების ფურცლის, საწერი კალამის და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარდა სხვა ნივთების მოთავსება;

ზ) ტესტზე მუშაობის დაწყება მეთვალყურის/კურატორის მითითების გარეშე;

თ) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ ტესტზე მუშაობის გაგრძელება.

5. გამოცდების ეროვნული ცენტრი სასერტიფიკაციო გამოცდების მიმდინარეობაზე დაკვირვებას უზრუნველყოფს ვიდეოაღჭურვილობის მეშვეობით.

6. საგამოცდო დროის ამოწურვამდე სამუშაოს დამთავრების შემთხვევაში მასწავლებლობის კანდიდატს უფლება აქვს, ტესტურ დავალებათა რვეულისა და პასუხების ფურცლის ჩაბარების შემდეგ დატოვოს საგამოცდო სექტორი კურატორის ან მეთვალყურის თანხლებით.

7. საგამოცდო დროის ამოწურვის ან მასწავლებლობის კანდიდატის მიერ სამუშაოს დასრულების შემდეგ კურატორი ამოწმებს თითოეული მასწავლებლობის კანდიდატის ტესტურ დავალებათა რვეულის გვერდების რაოდენობას, პასუხების ფურცელზე შტრიხკოდის მთლიანობას და მასწავლებლობის კანდიდატის მიერ უწყისში ხელმოწერის შემდეგ იბარებს მათ.

8. ჩაბარებული ტესტურ დავალებათა რვეულები და პასუხების ფურცლები იკვრება საგამოცდო სექტორში საგამოცდო დროის ამოწურვის დროს მყოფი ბოლო მასწავლებლობის კანდიდატის თანდასწრებით, საგამოცდო სექტორების მიხედვით, ილუქება და იგზავნება გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

**მუხლი 19. სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობის წესის დარღვევა**

1. სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობისას მასწავლებლობის კანდიდატი მიიღებს გაფრთხილებას:

ა) ამ დებულების მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნივთების გარდა სხვა ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში;

ბ) ამ დებულების მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“-„ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გაფრთხილება ფორმდება გამოცდების ეროვნული ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

→ 7

ოფიციალური დოკუმენტი

3. ამ დებულების მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოქმედების ჩადენის შემთხვევაში, გაფრთხილების მიცემასთან ერთად მასწავლებლობის კანდიდატს ჩამოერთმევა პასუხების ფურცელი, რომლის ნაცვლად გადაეცემა სარეზერვო პასუხების ფურცელი.

4. ამ დებულების მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით და მე-4 პუნქტის „ბ“-„ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის განმეორების შემთხვევაში, მასწავლებლობის კანდიდატი იხსნება სასერტიფიკაციო გამოცდიდან, რაც ფორმდება ოქმით გამოცდების ეროვნული ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

5. გაფრთხილების გარეშე მასწავლებლობის კანდიდატის სასერტიფიკაციო გამოცდიდან მოხსნა შესაძლებელია:

ა) ამ დებულების მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის შემთხვევაში;

ბ) წესრიგის უხეში დარღვევის, საგამოცდო პროცესის მონაწილე პირის შეურაცხყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევაში.

6. გაფრთხილების გარეშე მასწავლებლობის კანდიდატის სასერტიფიკაციო გამოცდიდან მოხსნა ფორმდება ოქმით გამოცდების ეროვნული ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

7. სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობის პროცესში დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დამკვირვებელი უფლებამოსილია, პროცესში ჩარევის გარეშე, შეადგინოს ოქმი და გადასცეს ადმინისტრატორს.

**მუხლი 20. ნაშრომების გასწორება**

1. გამოცდების ეროვნულ ცენტრში საგამოცდო ცენტრიდან გაგზავნილი დალუქული პასუხების ფურცლები იხსნება, რეგისტრირდება, ხდება მათი სკანირება და განაწილება გამსწორებლებს შორის.

2. მასწავლებლობის კანდიდატის პასუხების ფურცელი სწორდება გამოცდების ეროვნული ცენტრის გამსწორებლის მიერ სასერტიფიკაციო გამოცდის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში.

3. გამსწორებელთა ანონიმურობა დაცულია დაშიფვრის ინდივიდუალური სისტემის მეშვეობით.

4. ტესტის შინაარსის გათვალისწინებით პასუხების ფურცლები სწორდება:

ა) კომპიუტერის და საამისოდ გამიზნული სხვა ტექნიკური საშუალებების მეშვეობით, ან

ბ) დამოუკიდებლად მინიმუმ ორჯერ. შეფასებაში სხვაობის შემთხვევაში პასუხების ფურცელი გადაეცემა მესამე გამსწორებელს, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

5. პასუხების ფურცელი, რომლის შევსებისას გამოყენებული იქნება სხვა კალამი ან რომელიც შეიცავს მაიდენტიფიცირებელ ნიშანს ან რაიმე სახის გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან, არ გასწორდება.

6. ამ დებულების მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხების ფურცელი არ გასწორდება.

7. სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგად მიღებული ქულები ქვეყნდება გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე. სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგად მიღებული ქულები ხელმისაწვდომია მხოლოდ დაინტერესებული პირისათვის.

**მუხლი 21. ტესტების და ტესტის პასუხების გამოქვეყნება**

გამოცდების ეროვნული ცენტრი, სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 15 დღისა, უზრუნველყოფს ტესტებისა და ტესტის პასუხების განთავსებას საკუთარ ოფიციალურ ვებვერდზე.

**მუხლი 22. მასწავლებლობის უფლების მოპოვების საფასური**

1. მასწავლებლობის უფლების მოპოვების საფასური სასერტიფიკაციო გამოცდის თითოეული ნაწილისთვის ცალ-ცალკე მოიცავს 25 ლარს.

2. მასწავლებლობის კანდიდატის მიერ ზედმეტად ან შეცდომით ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასურის გადახდის შემთხვევაში, გადახდილი თანხების დაბრუნების შესახებ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ფორმით განცხადების წარდგენა ხდება სასერტიფიკაციო გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში. განცხადებაში უნდა მიეთითოს დასაბრუნებელი თანხა და თანხის მიღების ადგილი. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ თანხები გაიცემა განცხადების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.

## თავი III. პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭება

**მუხლი 23. სასერტიფიკაციო გამოცდის საბოლოო შედეგები**

1. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში გამოცდების ეროვნული ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება ერთიანი სია სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგების შესახებ და იმ მასწავლებელთა სია, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს სასერტიფიკაციო გამოცდა.

2. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მიწოდებულ მასწავლებელთა შესაბამისი სიის საფუძველზე, ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მასწავლებელთა შესაბამისი სიის მიღებიდან 10 დღის ვადაში მტკიცდება და მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში შეიყვანება იმ პირთა მონაცემები, რომლებმაც მოიპოვეს მასწავლებლობის უფლება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებვერდზე.

4. ცენტრის ოფიციალურ ვებვერდზე განთავსებული სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგები სპეციალური კოდის გამოყენებით ხელმისაწვდომია მხოლოდ დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისი დაინტერესებული პირებისათვის სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ცენტრი.

5. სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით დაძლეული ნაწილის ქულა პირს უნარჩუნდება 4 წლის განმავლობაში.

**მუხლი 24. მასწავლებლის სერტიფიკატის გაცემა და მისი მოქმედების ვადა**

პირის მასწავლებლობის უფლება დასტურდება შესაბამისი მასწავლებლის სერტიფიკატით.

ცენტრი, ამ დებულების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 2 თვის ვადაში, უზრუნველყოფს მასწავლებლის სერტიფიკატების იმ რესურსცენტრისთვის გადაცემას, რომელმაც განახორციელა მასწავლებლობის კანდიდატის პირველადი რეგისტრაცია.

რესურსცენტრი მასწავლებლის სერტიფიკატების მიღებიდან 20 დღის ვადაში უზრუნველყოფს შესაბამის პირებზე მასწავლებლის სერტიფიკატების გადაცემას.

მასწავლებლის სერტიფიკატი მოქმედებს მისი გაცემიდან 8 წლის განმავლობაში.

## თავი IV. მასწავლებლობის უფლების განახლება

**მუხლი 25. მასწავლებლობის უფლების განახლების ვადა**

ამ დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ, მასწავლებელი, რომელსაც სურს პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება, ვალდებულია განაახლოს მასწავლებლობის უფლება.

მასწავლებლობის უფლება უქმდება, თუ მასწავლებელი მისი მოპოვებიდან 8 წლის შემდეგ არ განაახლებს ამ უფლებას. მასწავლებლობის უფლება განახლდება 8 წლის ვადით.

**მუხლი 26. მასწავლებლობის უფლების განახლების ფორმები**

მასწავლებლობის უფლების განახლებისათვის მასწავლებელი ვალდებულია დააგროვოს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემით გათვალისწინებული კრედიტები.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების კრედიტების დაგროვება შესაძლებელია შემდეგი ალტერნატიული ფორმების გამოყენებით:

ა) აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამების გავლა;

ბ) სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან 6 წლის შემდეგ შესაბამისი მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;

გ) საგანმანათლებლო ან პედაგოგიური პროდუქტის შექმნა (სახელმძღვანელოს, საგანმანათლებლო პროგრამის ავტორობა, საგანმანათლებლო პროექტის შემუშავება ან/და განხორციელება, მასწავლებლობის მაძიებლებისა და სხვა პედაგოგებისათვის ცოდნის გაზიარება და სხვა).

**მუხლი 27. სკოლის უფლება-მოვალეობები მასწავლებლობის უფლების განახლების პროცესში**

1. მასწავლებლობის უფლების განახლების მიზნით სკოლის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით იქმნება სასერტიფიკაციო საბჭო (შემდგომში – საბჭო), რომლის შემადგენლობაში შედის სკოლის ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის საბჭოს თავმჯდომარე, სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის $21^2$ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყველა სახის არანაკლებ ერთი მასწავლებელი (სკოლაში ასეთი სახის მასწავლებლის არსებობის შემთხვევაში).

2. საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და საბჭოს მდივანს.

3. საბჭოს სხდომებს უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, რომლის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს ასრულებს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

4. საბჭო იკრიბება წელიწადში არანაკლებ ორჯერ. საბჭოს სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით, სკოლის მასწავლებლის ან/და საბჭოს წევრის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში.

5. საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ საბჭოს სხდომას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება საბჭოს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

6. საბჭოს სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელიც ფორმდება საბჭოს სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს მდივნის ხელმოწერებით.

7. საბჭო, მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის და მასწავლებლის პროფესიული განვითარების პორტფოლიოს მიხედვით, სასწავლო წლის დასაწყისში განიხილავს და ამტკიცებს მასწავლებლის მიერ მომზადებულ წლიურ სამოქმედო გეგმას, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს – მასწავლებლის წლიური სამოქმედო გეგმის ანგარიშს.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, საბჭო აჯამებს მასწავლებლის მიერ მოპოვებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების კრედიტების რაოდენობას და ასახავს საბჭოს სხდომის ოქმში.

9. საბჭო ვალდებულია სასწავლო წლის ბოლოს შესაბამის რესურსცენტრს გადაუგზავნოს მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით) იმ მასწავლებლის შესახებ, რომელმაც დააგროვა მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემით გათვალისწინებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების შესაბამისი კრედიტები.

10. სკოლის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია უზრუნველყოს საბჭოს გამართული ფუნქციონირება და საბჭოს მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

11. რესურსცენტრი ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების მიღებიდან არა უგვიანეს 20 დღისა უზრუნველყოფს მათ ასახვას მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში.

12. დაინტერესებული პირი უფლებამოსილია საბჭოს გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს ცენტრში.

**მუხლი 28. ცენტრის უფლება-მოვალეობები მასწავლებლობის უფლების განახლების პროცესში**

1. ცენტრი, მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში რესურსცენტრის მიერ შესაბამისი მონაცემების ასახვიდან 1 თვის ვადაში, მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემით გათვალისწინებული შესაბამისი რაოდენობის კრედიტების დაგროვების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებლისათვის მასწავლებლობის უფლების განახლების შესახებ.

2. ცენტრი ვალდებულია შერჩევითი პრინციპის გამოყენებით რეგულარულად შეამოწმოს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემით გათვალისწინებული კრედიტების დაგროვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3. ცენტრი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყოფს მასწავლებლის სერტიფიკატების გადაცემას შესაბამისი რესურსცენტრისათვის, ხოლო რესურსცენტრი – სერტიფიკატების მიღებიდან 20 დღის ვადაში მათ გადაცემას შესაბამისი პირებისათვის.

## თავი V. სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის ვადამდე ჩამორთმევის პირობები

**მუხლი 29. სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის ვადამდე ჩამორთმევის პირობები**

1. მასწავლებელს სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსი ვადამდე ჩამოერთმევა, თუ:

ა) მასწავლებელი არღვევს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ ვალდებულებებს და მისი ქმედება ეწინააღმდეგება ამავე სტანდარტით დადგენილ ღირებულებებს;

ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაშია შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

გ) ადგილი აქვს მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევებს;

დ) მასწავლებლის მიერ სასერტიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის მიზნით ან მასწავლებლობის უფლების განახლების პროცესში არასწორი მონაცემები იქნა წარდგენილი, რაც დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის ვადამდე ჩამორთმევის პროცედურა და წესი განისაზღვრება მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსით.

## თავი VI. გარდამავალი დებულებანი

**მუხლი 30. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლებამოსილების მქონე პირები**

1. 2014 წლამდე სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს. ამ დრომდე სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში ამ პუნქტით განსაზღვრულ პირებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის $21^3$ მუხლით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ჩაეთვლებათ დაკმაყოფილებულად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირები სასერტიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის მიზნით, ამ დებულების მე-6 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი დოკუმენტების გარდა, ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად, ასევე წარადგენენ პედაგოგიური მუშაობის სტაჟის ან მოქმედი მასწავლებლის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს.

**მუხლი 31. პირველი სასერტიფიკაციო გამოცდის საფასური**

მასწავლებლისთვის პირველი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების საფასურს ანაზღაურებს სახელმწიფო.

საუბრები ბიბლიაზე

# შესაქმის მეექვსე დღე

## მესამე ნაწილი

რუბრიკას უძღვება
**როლანდ ჩხეიძე**

### ედემი

სამოთხე ედემისა არის დედამიწის წარსულის ნაწილი. ადამის ცოდვით დაცემამდე ედემი დედამიწაზე იყო. წმიდა იოანე დამასკელის განმარტებით ედემის სამოთხე მდებარეობს: *„...აღმოსავლეთით, მთელ დედამიწაზე უფრო მაღლა, არის კეთილშეზავებული, ირგვლივ ფაქიზი და უწმინდესი ჰაერით გაშუქებული, მარადყვავილოვანი მცენარეებით გამშვენებული, კეთილსურნელებით სავსე და სინათლით ავსებული, რაც აღემატება ყოველგვარი გრძნობადი მშვენიერებისა და სილამაზის შესახებ აზრს, არის ჭეშმარიტად საღვთო მხარე და ღირსეული სავანე მისთვის, ვინც ღვთის ხატისებრ დაიბადა“* („მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თავი ოცდამეხუთე“. ნახე – orthodoxy.ge).

ღირსი სვიმონ ახალი ღვთისმეტყველი გვასწავლის: *„მეექვსე დღეს უფალმა შექმნა ადამი და ედემში დაასხლა. ქვეყანა ნივთიერი და გრძნობადი იყო, ამიტომ ის ჭეშმარიტი სამოთხე ვერ იქნებოდა, მაგრამ ღმერთის მიწიერ ქმნილებას მაინც სამოთხის სახე ჰქონდა. წმინდა წერილი გვამცნობს* (დაბად. 1:26-30*), უფალმა ქვეყანა ადამსა და მის შთამომავლობას გადასცა. სხეულებრივი ადამი ჯერ არ ფლობდა სულიერ სისრულეს, მაგრამ როგორც მიწიერი, უკვდავი სრულყოფილება უფალმა იგი სამოთხის პატრონად და ღვთის მიერ შექმნილი ცისქვეშეთის მეფედ დაამკვიდრა“ (От. Серафим Роуз. Православнфое понимание книги Быти . М.и 1998. стр. 85).* ცოდვით დაცემის შემდეგ ადამს ბუნება შეეცვალა, ედემი კი ედემად დარჩა, ამიტომ ადამის შთამომავლობას ედემის ჭეშმარიტი სახის მხოლოდ წარმოდგენა შეუძლია.

სიტყვა ედემი თავისი შინაარსით ნიშნავს შვებას, ტკბობას, განცხრომას. ედემი სამოთხის ბაღია, რომელშიც იზრდება მრავალი სახის მაცოცხლებელი ხილის ხე; სამოთხე აღსავსეა მზითა და კამკამა მდინარეებით; მორთულია ოქროთი და ძვირფასი ქვებით. მოგვიანებით „რწმენის კიდობანიც“ ხით, ოქროთი და ძვირფასი ქვებით შეიმოსა (დაბ. 25-27). ეს წმიდა ადგილი ზოგს მიაჩნია, რომ არის სინამდვილის გრძნობადი აღთქმა. სხვანი ედემს სულიერ მდგომარეობად, ანუ სპირიტუალურ გაგებად მიიჩნევენ. წმიდა იოანე დამასკელი კი გვასწავლის: *„ზოგმა გრძნობადად წარმოისახა სამოთხე, ზოგმა – გონისეულად. მე კი მგონია, რომ ადამიანის მსგავსად, რომელიც შეიქმნა როგორც ერთდროულად გრძნობადიც და გონისეულიც, მისი ეს უწმინდესი სამყოფელიც ერთდროულად გრძნობადიცაა და გონისეულიც, აქვს რა ორმაგი გააზრება, რადგან ადამიანი, როგორც გაუწყეთ, სხეულით უსაღვთოეს და ზემშვენიერ მხარეში მკვიდრობდა, სულით კი უაღმატებულეს და შეუდარებლად უფრო გარემშვენიერ ადგილას იმყოფებოდა“* (ნახე – orthodoxy.ge).

ედემი, სადაც უფლის ნებით, ადამთან ერთად წყლიდან და მიწიდან აღორძინებული ყოველი საუკეთესო მიწიერი არსება იქნა დამკვიდრებული, სიკეთითა და ჰარმონიით იყო აღვსილი (დაბ. 2:10-14). აქ ულევია ყველაფერი ის, რაც შეიძლება ადამიანმა მოინდომოს და წარმოიდგინოს. ეს საოცარი ადგილი უსაზღვროდ ლამაზია. აქ ყოველი მცენარე ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელია, მათი ნაყოფი კარგია საჭმელად (დაბ. 2:9). სამოთხეში შრომა, უფლისაგან ბოძებული იდეალური გარემოს მოვლა-პატრონობა, ადამიანის მაქსიმალური თვითრეალიზაციის საშუალება იყო. ამ მიზნების განხორციელების მთავარ წყაროს კი უფალთან მუდმივი ურთიერთობა და მისი მცნებების აღსრულება წარმოადგენდა.

აქ არაფერი, არანაირი სიდუხჭირითა და ზედმეტობით არ იყო დამძიმებული. ედემის მკვიდრთა შორის არსებული სიმრთელე და თანხმობა არაზეციური, მაგრამ სრული მიწიერი სამოთხეა. ასეთი ურთიერთთანაზიარობის საფუძველი ერთარსობაა, რადგან მხოლოდ ერთ შემოქმედს, ერთ ნებას ძალუძს ბუნების მაცოცხლებელ ძალად სიკეთე და ჰარმონია დაამკვიდროს. ამის შესახებაა: *„დაინახა ღმერთმა ყოველივე, რაც გააჩინა, და აჰა, ძალიან კარგი იყო“* (დაბ. 1:31).

სანამ ადამი ცოდვით დაეცემოდა, სამოთხე ჰარმონიასთან ერთად უხრწნელობითაც გამოირჩეოდა, ხოლო ადამი და ევა ბუნებასთან სრულ შესაბამისობაში იყვნენ და ეს მდგომარეობა მათ ურთიერთობასა და ყოფაზეც აისახებოდა. ამრიგად, არ იწვევს გაკვირვებას არც ედემის სათნოება და არც მასში მოსეირნე მამაკაცისა და დედაკაცის სიშიშვლე. მაგრამ, შეუდარებლად დიდია მათი უფალთან პირდაპირი ურთიერთობა. დაწერილია, რომ დღის სიგრილის ჟამს უფალი სეირნობდა ედემში (დაბ. 3:8). მას შემდეგ რაც ადამი და ევა ედემიდან განიდევნენ ადამიანმა მხოლოდ სამოთხე კი არა, რაც ყველაზე უმთავრესია, უფალთან თავისუფალი ურთიერთობის შესაძლებლობაც დაკარგა.

დაბადების წიგნში არაფერია ნათქვამი ედემის რაიმე ღობით შემოზღუდვის შესახებ, მაგრამ მასში მუდმივად შეიგრძნობა უსაფრთხოება და სრული სიმშვიდე, რომელსაც თუ ადამიანის პირადი ნება არა, ვერანაირი ბოროტება ვერ შეეხება. ეს შეგრძნება უფრო მეტად ძლიერდება, როდესაც ვხედავთ, რომ დაცემის შემდეგ ადამი სამოთხიდან განიდევნა და სიცოცხლის ხის დასაცავად მისასვლელ გზაზე უფალმა ქერუბინი და ცეცხლოვანი, მბრუნავი მახვილი დააყენა (დაბ. 3:24).

რადგან ქვეყანა ადამისათვის იყო შექმნილი, მისი ცოდვით დაცემის შემდეგ, ადამის მსგავსად ქვეყანაც ხრწნადობას და ამაოებას დაემორჩილა. ედემი და მასში არსებული სამოთხე კი, კაცის თვალთათვის მიუწვდომელი შეიქნა. ადამიანის აზროვნებაში ედემის ბაღი იდეალურ სულიერ სამყოფელად დარჩა, „წიაღათ აბრაამისათად“ (ლუკ. 16:20-25). ადგილად, სადაც მაცხოვრის მეორედ მოსვლამდე მხოლოდ წმინდანთა სულები დროის მიღმა, უკვდავებაში მკვიდრობენ.

ახალ აღთქმაში სამოთხე ზეციურ ცხოვრებას უკავშირდება (ლუკ. 23:43; 2 კორ. 12:4; გამცხ. 2:7), თუმცაღა დაწვრილებით ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. ძირითადი. რასაც აქ ვხედავთ, ეს არის სიკეთეში არსებული ახალი იერუსალიმი და ამ ქალაქში *„...მდინარე, კამკამა, როგორც ბროლი, რომელიც მოედინებოდა ღვთისა და კრავის ტახტიდან. მისი მოედნის შუაში და მდინარის გაღმა-გამოღმა სიცოცხლის ხეა, ყოველთვიურად რომ გამოაქვს თორმეტი ნაყოფი, ხის ფოთლები კი კურნავენ ხალხებს“* (გამოცხ. 22:1-2).

სამოთხის შესახებ ფიქრისას – წერს მამა სერაფიმ როუზი – უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არა მხოლოდ ადგილია სადაც ადამი ცოდვით დაცემამდე ცხოვრობდა, არამედ მთელი ჩვენი ცხოვრების მიზნად ქცეული ნეტარი რეალობაა, რომელსაც, ამ დაცემული ქვეყნის არსებობის დასასრულს ყოველი ღირსეული ადამიანი დაუბრუნდება და ღვთიურ განცხრომას, ანუ ადამიანისათვის ბუნებრივ მდგომარეობას ეზიარება (შეადარე, *От. Серафим Роуз. Прф авославное понимание книги Быти . М.и1998истр. 9у.*).

**ხე ცნობად კეთილისა და ბოროტისა** (დაბ. 2:9)

ცოდვით დაცემის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ადამმა უფლის აღთქმაზე უფრო მაღლა, ქმნილისადმი, ანუ „კეთილისა და ბოროტის ხის“ ნაყოფის შეცნობისადმი ინტერესი დააყენა. შემდგომში ადამიანებმა უფრო მეტად დაიწყეს ბუნების ძალებისა და სხვა ქმნილებების თაყვანისცემა. *„კეთილისა და ბოროტის ცოდნის ხე, – ბრძანებს წმიდა იოანე დამასკელი – იყო გრძნობადი და გემოვანი საკვები, მოჩვენებითად დამატკბობელი, სინამდვილეში კი, ვინც გასინჯავდა, ბოროტებათა შენივთებაში მისი მომაქცეველი, რადგან ღმერთმა თქვა; „ყოველი ხისგან, რაც სამოთხეშია, ჭამით ჭამო...“* (დაბ. 2,16) ამით იგი გვეუბნება: *„კეთილისა და ბოროტის ცოდნის ხისგან, – არ ჭამოთ მისგან, რადგან რომელ დღესაც შეჭამთ მისგან, სიკვდილით მოკვდებით“* (შეს. 2,17). მართლაც, ბუნებითად გრძნობადი საკვები - ესაა განთხეულით შევსება, რაც აგრეთვე გარეთ გავა და განიხრწნება. ამიტომ, შეუძლებელია, რომ გრძნობადი საკვების შემთვისებელი უხრწნელი დარჩეს“. („მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თავი ოცდამეხუთე“. ნახე – orthodoxy.ge).

თავისუფალი ნების მქონე ადამს, არა მხოლოდ ბოროტება, სიკეთეც შეეძლო აერჩია. ამაზე თვით ღვთის აღთქმაც მეტყველებს, რადგან რჩევა, თავისთავად პიროვნების ნებაზე მიუთითებს. პირველ ადამიანს, ღმერთთან ერთობით ღვთაებრივი სრულყოფისათვის შეეძლო მიეღწია. სხვაგვარად ის, როგორც საკუთარი ნებით უფლისაგან განდგომილი, უღმრთო ცხოვრებისათვის იყო განწირული. და იმისათვის, რომ მისი ცხოვრება უქცევად ბოროტებაში არ გადაზრდილიყო, თვით ადამიანის სასიკეთოდ, ადამი და მისი შთამომავლობა გარდაუვალ სიკვდილს ეზიარა. ნათქვამია: წარმავალია ყველაფერი რაც ბოროტებასა და ცოდვაში დამკვიდრდება (დაბ. 2:17).

გამოთქმა – „ხე კეთილის და ბოროტის შეცნობისა“, იმაზე მიუთითებს, რომ ვინც ამ ხის ნაყოფს მიიღებს, თავის ცხოვრებას საკუთარ პიროვნულ ცოდნაზე და შეხედულებებზე დააფუძნებს. ერთი მხრივ, ის თითქოს დამოუკიდებლობას მოიპოვებს, ხოლო მეორე მხრივ, დამოუკიდებლობა ყალბი და შეცდომილი იქნება, ისევე როგორც ბავშვის საქციელი, რომელიც ძალიან მცირე სინამდვილის ამსახველ ინფორმაციას ფლობს და მიმზიდველად ხან რას მიიჩნევს და ხან რას. ეშმაკი გზააბნეულის ასეთ უსუსურ მდგომარეობას ელის. ის პიროვნებას სწორედ ამ დროს გადაიბირებს და საბოლოოდ გაანადგურებს. ადამის ყოველი შთამომავალი, როგორც ღვთის ხატი, დამოუკიდებელი ინდივიდია. როგორც ღვთის მსგავსი – თავისი არსით – ეშმაკისაგან აბსოლიტურად თავისუფალია და ჭეშმარიტების მოყვარულია. სწორედ ამიტომ, შეცდომების მიუხედავად ის მაინც უფლისაკენ მიიკვლევს გზას. მან იცის, რომ მხოლოდ იქ არის ჭეშმარიტება.

**წმიდა წერილი სიკეთის შესახებ**

წმიდა წერილში ვკითხულობთ: *„დაინახა ღმერთმა ყოველივე, რაც გააჩინა, და აჰა, ძალიან კარგი იყო“* (დაბ. 1:31). ყველაფერი რაც ღმერთის მიერაა შექმნილი სიკეთეა. უფალს ბოროტება არ შეუქმნია.

ეშმაკს თვითონ არაფრის შექმნა არ ძალუძს. მას სძულს ყველაფერი რაც უფალმა ადამიანისათვის შექმნა. ეშმაკს სურს ადამიანის ხელით აკეთოს ის, რისი ქმნაც მას არ შეუძლია. ის ცდილობს ადამიანს თვითონ დაანგრევიოს ღმერთის მიერ ადამიანისათვის განხორციელებული ქვეყანა, ანუ მოასპობინოს უფლის მიერ შექმნილი სიკეთე და თვით ადამიანს ამრავლებინოს ბოროტება. აქვე ჩნდება კითხვა, ცოდვით დაცემამდე ნეტარებაში მყოფი ადამიანი განასხვავებდა თუ არა კეთილს ბოროტისაგან? წმინდა იოანე ოქროპირი დაბადების წიგნის კომენტირებისას ბრძანებს: *„თვითონ განსაჯეთ, რაზე უნდა იყოს აგებული ადამიანის თავისუფალი ნება თუ არა ცოდნაზე, ამიტომ ნუ იტყვი, რომ ადამმა არ იცოდა რა არის კეთილი და რა არის ბოროტი“*. როგორც ვხედავთ, ცოდვის მნიშვნელობაშიც ადამიანი აკრძალული ნაყოფის მიღებამდე იყო გარკვეული. ბიბლიის ებრაულ ტექსტში გამოყენებულია ზმნა, რომელიც „შეცნობად“ წარმოგვიდგება. ეს სიტყვა თავისი შინაარსით ცოდვასთან პრაქტიკულ დაკავშირებას გულისხმობს და მართლაც, ღვთის აღთქმის დარღვევა კეთილისა და ბოროტის გარჩევა კი არა, ბოროტებაში შესვლაა.

ამრიგად, დაცემამდე ადამიანს კარგად ესმოდა რას უნდა დაეახლოვებინა და რას უნდა დაეშორებინა ის უფალთან; რას ელოდა მისგან უფალი და ღმერთისათვის რა იყო მიუღებელი. თვითონ უფალმა ასწავლა ადამიანს რა არის კარგი და რა არის ცუდი: *„არა კეთილ არს ყოფად კაცისა ამის მარტოსა“*, ეს მეტად მნიშვნელოვანი სიტყვები ადამიანზე მზრუნველ შემოქმედს ეკუთვნის. აშკარაა, რომ ადამმა უკვე ამ დროისათვის შეიგრძნო რას ნიშნავს მარტოობა, ჩაკეტილობა, განდგომა. და ვინაიდან პიროვნების სრულყოფილების პროცესი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმდინარეობს, თუ ადამიანი ღვთის ნებას შეგნებულად და არა უნებლიედ ან ძალდატანებით ემორჩილება, სწორედ განდგომილისათვის დამახასიათებელი გრძნობები დაეუფლება. ადამს პირველ შემთხვევაში თავის გძნობები არ დაუმალავს, უფლის წინაშე გულრწრფელი იყო: *„და თქვა ღმერთმან: არა კეთილ არს ყოფად კაცისა ამის მარტოსა, უქმნეთ მაგას შემწე, მსგავსი მაგისი“* (დაბ. 2:18*). „და აღუშენა უფალმან ღმერთმან გუერდი, რომელ მოიღო ადამისგან, ცოლად და მოიყვანა იგი ადამისსა“* (დაბ. 2:22). ეჭვს არ იწვევს, ადამიანს კეთილისა და ბოროტის გარჩევა და ბოროტებაზე შესაბამისად რეაგირება რომ არ შეძლებოდა, მაშინ ის ცხოველის მსგავსად უგუნური და უპასუხისმგებლო იქნებოდა. მის მიერ ჩადენილი ცოდვა, ღვთის ნების უგულველყოფად არ ჩაითვლებოდა (იქვე, *Догматическое богословие*).

* * *

რა არის ადამიანისათვის სასიკეთო, ამის შესახებ წმიდა წერილი მორწმუნეს მარტივად და გასაგებად მიუთითებს: *„ხოლო ჩემი მიახლება? ღმრთისა კეთილ არს; დადებად უფლისა მიმართ სასოება? ჩემი, მითხრობად ჩემდა ყოველი ქებულება? შენი ბჭეთა ასულისა სიონისათა“* (ფსალმ. 72:28). დიდი მეფსალმუნე მეფე დავითის ამ ლექსს დეკანოზი გიორგი რაზუმოვსკი ასე განმარტავს: დაე ყოველმა თვითონ განსაჯოს რა არის მისთვის სასიკეთო და სარგებლის მომტანი, ჩემთვის კი არაფერია უკეთესი ღმერთთან შერწყმაზე. და რადგანაც დღეს, ხილულ ყოფაში, ეს ჩემს ძალას აღემატება, მე სასოებით ღმერთს მინდობილი ვცდილობ მის ქებაში ხელის გაწაფვას, რათა ვადიდო უფალი არა მხოლოდ დახშულ კარს მიღმა – ჩუმად, ლოცვებში; არამედ სიონის კართან, ხალხმრავლობაში, ძახილით და გახმამყვირებით (ნახე, *Прот. Георгий Разумовскийи «Объ снение свф щенной книги псалмов» М.и ПСТБиит00т*).

უფალს, ისევე როგორც ყველა მშობელს სურს, ადამიანი მისკენ მიილტვოდეს და მისგან სწავლობდეს. ღირსი თეოფილაქტე ბულგარელი ბრძანებს: *„უფალი სავსებით ნათლად მოსჩანს ყველგან და ყველა მის ქმნილებაში; რადგან შეუძლებელია, ზეცა იყოს აქ და არ იყოს სხვაგან; შეუძლებელია ასევე ის იყოს ახლა და არ იყოს სხვა დროს. ამრიგად, ყოველთვის და ყველგან შეიძლება ვეზიაროთ ღმერთს. უფალმა ისე განკარგა, რომ ჩვენ არავითარ წინააღმდეგობას არ ვაწყდებით მის ძიებაში... უფალი ისე ახლოსაა, რომ მის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია“ (Блаж. Феофилакт Болгарскийи Толкование на де ни св ты. апоф столов).*

– როგორ უნდა დაუახლოვდეს ადამიანი უფალს? ამის შესახებ მოციქული იაკობი ბრძანებს: *„მიეახლენით ღმერთსა, და მოგეახლოს თქუენ. განიწმიდენით ჴელნი, ცოდვილნო, და უბინო ყვენით გულნი, ორგულნო“* (იაკ. 4:8). აქ ერთადერთი საშუალება გულწრფელი აღსარებაა, სხვაგვარად არ ძალუძს ადამიანს განწმედა და შესაბამისად უწმინდური, ღვთის სიახლოვეს ვერ იქნება.

– *„მიგეთხრა შენ, ? კაცო, რა? კეთილ, ანუ რასა ეძიებს შენგან უფალი, არამედ ქმნასა მსჯავრისასა და შეყუარებასა წყალობისასა და მზად-ყოფასა სლვად უფლისა თანა ღმრთისა შენისა“* (მიქ. 6:8). უფალი წინასწარმეტყველის სიტყვებით გვამცნობს, რომ ჭეშმარიტი გზა ღმერთისაკენ არის ღვთისმსახურება, რაც გულისხმობს: სამართლიანობას, გულმოწყალებას, თავმდაბლობას და თვინიერებას.

– *„და ვითარცა გამოვიდა იგი გ ზასა, ესერა მდიდარი ვინმე მორბიოდა მისა და მუჴლნი დაიდგნა მის წინაშე, ევედრებოდა მას და ეტყოდა: მოძღუარო სახიერო, რომელი საქმე ვქმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკჳდრო?“* (მარკ. 10:17). როგორც ტექსტის კომენტარიდან სჩანს: ეს ახალგაზრდა გულრწფელად ასრულებდა მოსეს კანონებს. მაგრამ გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ მის სიმრთელეს რაღაცა აკლდა. მაცხოვართან საუბარში გაირკვა, რომ მას ნაკლებად ესმოდა მცნებათა შინაგანი ბუნება, რადგან როგორც მოციქული პავლე ბრძანებს, *„ვპოვო-მეა შჯული, რომელსა უნდეს ჩემდა ყოფად კეთილისა, რამეთუ მე ბოროტი წინა მიც?“* (რომ. 7:21). სხვაგვარად, ის რომ ქრისტიანი ყოფილიყო მიხვდებოდა, რომ მთელი კანონის შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელია. *„განყიდე და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა, აღიღე ჯუარი, მოვედ და შემომიდეგ“* (მარკ. 10:21), ასე უპასუხა მაცხოვარმა ახალგაზრდას, რომელსაც სურდა საუკუნო ცხოვრება დაემკვიდრებინა.

ალბათ იკითხავენ, ნუთუ ადამიანმა ყველა ამქვეყნიურ სიკეთეზე უნდა სთქვას უარი, რათა სასუფეველში შევიდეს? მართალია, რომ იესო ქრისტე ამქვეყნიურ საქმეებზე ზრუნვასაც კი გვიკრძალავს?

მაცხოვარმა შესთავაზა თავის მოწაფეებს მიეტოვებინათ ყველაფერი და გაყოლოდნენ მას, იმის გამო, რომ ეს აუცილებელი იყო იმ დიდი მოციქულეობრივი საქმისათვის, რომელიც მათ ელოდათ. მაცხოვარმა თავისი მიმდევრების აბსოლუტური უმრავლესობისათვის დაადგინა ისეთი ტვირთი, რომელიც მდიდარსაც და ღარიბსაც ძალუძს იტვირთოს. მაცხოვარი სიმდიდრეს კი არა, მდიდრული ცხოვრებით გატაცებას უარყოფს. საშიშროება არა თვით სიმდიდრეშია, არამედ ის, რომ ქონება დაცემულ ბუნებას მაცდურად ეფინება და უფლისაკენ მიმავალ გზაზე ბევრ წიმაააღმდეგობას მოუვლენს. ქონებაზე შეყვარებულ ადამიანს ბუნება ეცვლება და დროთა მანძილზე მას წარმართობის სენი – მექრთამეობა და ვერცხლისმოყვარეობა ეუფლება. *(ნახე, «Евангельсф кие беседы. На каждый день года». М.и т000. изд. Право веры. Стр. 749).*

რაც შეეხება სიღატაკეს:

***„ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი.“***

გამოფენა

# გაუხუნარი სელჯუკური ვარიაციები

*პირველი გვერდიდან*

მიხეილ ჩიქოვანი

თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების კავშირის ხელშეწყობით, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო დარბაზში ქართველი დამთვალიერებელი პირველად იხილავს თურქეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ამსახველ ერთად თავმოყრილ მასალას. ნელს სტამბული კულტურის დედაქალაქადაა არჩეული, სწორედ ამასთან დაკავშირებით, მუზეუმმა ქართველ დამთვალიერებელს პირველად წარუდგინა ცნობილი ქართული მხატვრული ფილმების კოსტიუმები და ესკიზები. საგამოფენოდ მომზადდა ლადო გუდიაშვილისა და სოლიკო ვირსალაძის მიერ ქართული ფილმებისა და სპექტაკლებისათვის შესრულებული თურქული (ოსმალური) კოსტიუმების ესკიზები. ამ კოლექციიდან გასაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დიდი თურქი მწერლისა და დრამატურგის, ნაზიმ ჰიქმეთის პიესის „ლეგენდა სიყვარულზე“ სოლიკო ვირსალაძისეული გაფორმება. ექსპოზიციის ფერთა უნიკალურ პალიტრას ქმნის მიხეილ ჩიქოვანის „ვარიაციები სელჯუკურ თემაზე“, „დერვიშის პორტრეტი“, ნიკა ყაზბეგის ოსმალური კოსტიუმების ესკიზები სპექტაკლისთვის „მამლუქი“ და სხვ. ბევრი კოსტიუმი ოქროსა და ვერცხლის გამოყენებითაა დამზადებული.

ექსპოზიცია მართლაც უნიკალურია – კოტე მარჯანიშვილის „ოქროს წიგნი“ – მსოფლიო კოსტიუმის ისტორია (1889 წ.), რომელიც საქართველოში ერთადერთ ეგზემპლარადაა დაცული სნორედ თურქული კოსტიუმების ესკიზებისა და საბრძოლო იარაღების გვერდზეა გადაშლილი. მისი ბეჭდვის დროს გამოყენებული ოქროს ფენის გამო 200 წლის გრავიურებმა ფერთა პირველადი პალიტრა შეინარჩუნა. იქვე იხილავთ „ყურანის“ კომენტარებს რარიტეტული გამოცემებიდან. მევლანი – ჯალალედდინ რუმი – ნახატი შესრულებულია მეოცე საუკუნეში, მასალად გამოყენებულია მეცხრამეტე საუკუნის ქაღალდი. მინიატურა, ამ უნიკალურობის გარდა, ჯალალედდინ რუმის იმ მდგომარეობის გამოსახვითაც იქცევს ყურადღებას, რაც სუფიებისთვის მეტად მნიშვნელოვანი და დამახასიათებელია. როგორც ცნობილია, ჯალალედდინ რუმი სუფია იყო, პირველ რიგში კი, მეცამეტე საუკუნის კარგ პოეტადაა ცნობილი, რომელიც ქართულად მაგალი თოდუასა და ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ ითარგმნა. მართალია სპარსელი იყო, მაგრამ სპარსეთში არ ცხოვრობდა (ცხოვრობდა კონიაში ), ჯალალედდინ რუმი გურჯი ხათუნის მასწავლებლადაც ითვლებოდა, ხათუნიც სუფია გახლდათ. მან თავის მასწავლებელს აკლდამა აუგო და მისი ლექსებიც სწორედ მან შეაგროვა. სუფიებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო რიტუალური ცეკვები, რომლებსაც ისინი განსაკუთრებული დატვირთვით ასრულებდნენ. სუფიების ცეკვა, ამ მინიატურის გარდა, ექსპოზიციაზე გამოფენილ ერთ-ერთ ფოტოზეცაა გამოსახული. ცეკვის დროს აუცილებლად განიერი ტანსაცმელი უნდა სცმოდათ, რომელიც ტრიალის დროს მაქსიმალურად უნდა გაშლილიყო და მზის დისკოს ფორმა უნდა მიეღო, ერთი ხელი დაბლა უნდა ჰქონოდათ დაწეული, მეორე – მაღლა აწეული. ზემოთ აწეული ხელი ზეციური სამყაროსკენ მინიშნება იყო, ქვემოთ დაწეული – მიწიერისკენ, ხოლო მოცკვავის ფიგურა შუასკნელის მნიშვნელობას იძენდა. სუფიების ცეკვის დროს მედიტაციაში ვარდებონენ და, როგორც თავად ამბობდნენ, ამ დროს ჭეშმარიტებასთან მიახლოებულნი იყვნენ. გამოფენაზე წარმოდგენილ მინიატურაზე სწორედ ასეთ მდგომარეობაშია გამოსახული ჯალალედდინ რუმი.

ექსპოზიციის მემორიალური ნივთებიდან აღსანიშნავია დიდი ქართველი მწერლის – შალვა დადიანის ხმალი, რომელიც მწერალს სავარაუდოდ, ერთ-ერთმა ოსმალო ფაშამ გადასცა.

**ლელო ჭიჭინაძე**, საგამოფენო პროგრამების ხელმძღვანელი: *„თუ ვინ აჩუქა შალვა დადიანს ეს ხმალი, არ არის ცნობილი, მაგრამ მასზე ოსმალური ორნამენტები – ნახევარმთვარე და ვარსკვლავი, მათი გერბია გამოსახული. გამოფენაზე, მართლაც ბევრი უნიკალური ქსპონატია წარმოდგენილი, რომელიც ქართულ-თურქულ კულტურას წარმოადგენს: დივრილის ულუჯამეს ქართველი არქიტექტორის მიერ შესრულებული ორნამენტის ასლი; აღსანიშნავია ძვირფასი ხელოვნების ნიმუშები – ოქრომკერდით ნაქარგი ოსმალური კოსტიუმი, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში თურქეთის სულთნის პირადი გვარდიის წევრებს ეცვათ. სწორედ მისმა გაფორმებამ დაუდო საფუძველი მაჰმუდის ოსმალურ კოსტიუმს ფილმიდან „მამლუქი“, რომელიც დღევანდელ ექსპოზიციაზეა გამოფენილი და მრავალი სხვა ექსპონატი, რომელთა ნაწილი მუზეუმის საცავებიდანაა, ნაწილი კი – ბატონ გიორგი კალანდიას კერძო კოლექციიდან“.*

გამოფენის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი კოლექცია ის 50 ფოტოა, რომელზეც აღბეჭდილია 1877-1878 წლების თურქეთი, ისტორიული ადგილები, რომელთა უმეტესობა დღეს ან არ არსებობს, ან სახეცვლილია – ეს ფოტომემატიანე კი ცნობილი ფოტოგრაფის – ვლადიმერ ერმაკოვისაა. წარმოდგენილია, ასევე, სულთანის პირადი ფოტოგრაფის აბდულა ფრერესის ფოტოებია. თითოეული სურათის მიღმა ბევრი ყოფითი თუ ისტორიულ-კულტურული ამბავი იკითხება. „ახალი ბაიაზეთი“, „ყარსი“, „ამასია“, „არდაგანი დაბომბვის შემდეგ“ „სტამბული“, „ქაბაბის გამყვიდველი“ „თურქეთ საქართველოს საზღვარი – მებაჟეები“ – ეს არასრული ჩამონათვალია ერმაკოვისეული ფოტოქრონიკისა; ფრერესის ფოტოებზე გამოსახული „სუფიების ცეკვა“, „მუჰაჯირები“ და „ბაშიბუზუკები“, სხვა დანარჩენ ფოტოებთან ერთად, ვფიქრობ, გარკვეულ ისტორიულ სურათს ქმნის მაშინდელი თურქეთის შიდა თუ გარე პოლიტიკური მდგომარეობისა; ფრერესისეული სუფიები ცეკვის საოცარ სცენას გვიჩვენებენ, „მუჰაჯირები“ კი საკმაოდ კარგად ჩაცმულ-დახურულები სხედან სულთანის გვერდით, რაც მაშინდელი მუჰაჯირებისათვის უჩვეულო მდგომარეობაა; რაც შეეხება „ბაშიბუზუკებს“ისინი ფოტოზეც სიმკაცრითა და უჩვეულო ჩაცმულობით იქცევენ ყურადღებას. „ბაშიბუზუკები“ – უცნაურად ჩაცმული ადამიანები, სულთანის დამსჯელ რაზმს წარმოადგენდნენ. თურმე, გამორჩეულები იყვნენ, როგორც დამსჯელები, მაგრამ როგორც მეომრები – სუსტები. მართალია, სულთანის დამსჯელ რაზმში მსახურობდნენ, მაგრამ ამ საქმისთვის ანაზღაურებას არ იღებდნენ. უნიკალური ფოტოექსპოზიცია მართლაც ძალიან ბევრი ისტორიის ამსახველია – 50 ფოტო 50 ისტორიით.

**მაია ავალიშვილი**, გამოფენის კოორდინატორი: *„გასული საუკუნის 24-26-იან წლებში, თბილისში თურქული დასი ფუნქციონირებდა. აქ გამოფენილი აფიშებით შეიტყობთ, თუ რა სპექტაკლები იდგმებოდა მაშინ თურქულ ენაზე. მაგალითად, ნარიმანოვის სახელობის კლუბში: 1927 წლის 28 აგვისტო – აბდულ რახმანის პიესა „ძველი თაობა“, ორ ნაწილად; ახუნდოვის პიესა „ჰაჯიკარა“, 1926-27 წელი, ან თუნდაც სახაზინო თეატრში 1908 წელს დადგმული პიესა...*

*დამერწმუნებით, გამოფენა მართლაც საინტერესო და უნიკალურია: მიხეილ ჩიქოვანი, რევაზ მირზაშვილი, ლადო გუდიაშვილი, ნიკა ყაზბეგი, სოლიკო ვირსალაძე, იოსებ სუმბათაშვილი, დავით მირიანაშვილი ნამუშევრებით თემატიკაზე – თურქეთი ქართულ ხელოვნებაში. ხელოვნების სასახლეში გამართული გამოფენის მიზანიც ქართულ-თურქული კლუტურული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებაა.“*

თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების კავშირის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა გამოფენაზე წარმოდგენილ მხატვართა ნამუშევრების კრებული.

გამოფენის გახსნაზე მუზეუმს აჭარის ყველაზე ცნობილი გვარის – თავდგირიძეების წარმომადგენელი მურად ცინცაძე სტუმრობდა, რომელმაც მუზეუმს წინაპრების ბიბლიოთეკის ნაწილი და მეთვრამეტე საუკუნით დათარიღებული ჰიჯაბი გადასცა. მუზეუმის მემორიალურ, თეატრალურ და ხელოვნების ნიმუშთა ფონდისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰიჯაბი – გამოსასვლელი ჩადრი, რომელსაც აჭარაში (როდესაც ოსმალეთის შემადგენლობაში იყო) ქართველი ქალები სახლიდან გასვლის დროს იკეთებდნენ. ჰაჯიბი ოქრომკერდითა და უნიკალური ორნამენტებითაა გაფორმებული.

მუზეუმის ბიბლიოთეკა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოცემით შეივსო.

**ნინო ნასიძე,** ბიბლიოთეკის და რარიტეტულ გამოცემათა ფონდის მცველი: *„ჩვენს საცავში ყველაზე უძველესი გამოცემა, ევროპული კოლექციიდან, გერმანულ ენაზე გამოცემული „იმპერიების ისტორიაა“, რომელიც 1693 წლით თარიღდება. ქართული ენაზე გამოცემული წიგნებიდან ჩვენთან დაცულია 1783 წელს მოსკოვში დაბეჭდილი „კურთხევანი“. ძირითადად, ფონდი კერძო კლექციებიდან ივსება, თუმცა მუზეუმში საკმაოდ კარგი ფონდია, გვაქვს გამორჩეულად ღირებული წიგნები, მაგალითად, მარჯანიშვილის „მსოფლიო კოსტიუმების ისტორია“ – ექვსტომეული, რომელიც პირადად მარჯანიშვილის ბიბლიოთეკიდანაა. მუზეუმის ბიბლიოთეკაში განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს ასევე უნიკალური „პიესების ფონდი“, რომელიც ჯერ კიდევ დალაგების პროცესშია. ასეთი მდიდარი პიესების ფონდი იშვიათია – ხელნაწერი თუ ნაბეჭდი, ქართულ და რუსულ ენებზე. სულ ახლახან კი ჩვენი ფონდი კიდევ ერთი კოლექციით შეივსო: 120 წლის წინ გამოცემული „ყურანი“ თორნიკე ბერიძის კოლექციიდან და კიდევ რამდენიმე ხელნაწერი. თავდგირიძეების კოლექციიდან: ჯუზეპე პეკიოს, 1832 წლით დათარიღებული, უნიკალური წიგნი ოქროს ორნამენტით; გრაფ დე სეგიურის „ბოროდინოს ბრძოლა“(1896 წ.); ჩარლზ დიკენსის „დევიდ კოპერფილდის“ 1909 წლის გამოცემა; ლომონოსოვის თხზულებანი (1893 წ.); ფრანგული ენის შესასწავლი ელემენტარული კურსი (1898 წ.); ბუნების ენციკლოპედია (წელი არ იკითხება) და სხვ. – ეს მართლაც ფასდაუდებელი საჩუქარია მუზეუმისთვის და ეს ექსპონატები მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებენ ფონდებსა და ბიბლიოთეკაში.“*

ქართულ ხელოვნებაში ასახული თურქეთი ჩვენი ისტორიის ნაწილია, რომლის ნახვის საშუალება დამთვალიერებელს პირველად მიეცა ხელოვნების სასახლის საგამოფენო დარბაზში. დამთავლიერებელზე ოცდამეერთე საუკუნეშიც კი საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს კოსტიუმები კინოფილმებიდან – „ბაში-აჩუკი“ და „მამლუქი“, რომელზეც თაობები გაიზარდნენ და სელჯუკური ვარიაციების ფერთა გაუხუნარი გამა, რომელიც განუმეორებელმა ქართველმა ხელოვანებმა შექმნეს.

**ლალი ჯელაძე**

სოლომონ ვირსალაძე

ნიკა ყაზბეგი

ვასილ არაბიძე

# ხელშეკრულების მემორანდუმი და დაჯილდოება

28 იანვარს, სტუ ადმინისტრაციული კორპუსის გ. ნიკოლაძის სახელობის მცირე სააქტო დარბაზში, ხელი მოეწერა ხელშეკრულების მემორანდუმს მეცნიერებისა და ხელოვნების ევროპულ აკადემიასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის. მემორანდუმს საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა სტუ რექტორმა, პროფესორმა **არჩილ ფრანგიშვილმა**, ხოლო ავსტრიის მხრიდან კი – აკადემიის პრეზიდენტმა, პროფესორმა **ფელიქს უნგერმა**.

მემორანდუმზე ხელმოწერის შემდგომ პროფესორი ფელიქს უნგერი სტუ-ს საპატიო დოქტორის წოდებითა და საპატიო მედლით დაჯილდოვდა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ბატონმა **ნოდარ სურგულაძემ** დამსწრე საზოგადოებას მინისტრის მიმართვა გააცნო.

# სასკოლო ცხოვრებაში მამების ჩართვის ორიგინალური ხერხი

სკოლის ისტორიაში იშვიათია, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებელს ასეთი დიდი აღიარება მოეპოვებინოს. იგი არაერთხელ შეხვედრია საქართველოს პრეზიდენტსა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრებს. საოცარი უნარი შესწევს სიახლეების ძიების, მიგნების, დანერგვისა და ტრადიციად ქცევის. მის გაკვეთილებსა თუ ღონისძიებებში ყოველთვის იპოვი რაღაც ახალს, მისაღებსა და გასაზიარებელს. ასეთია აბაშის 1-ლი საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი **ლუდმილა კორძახია**, მასწავლებელი, რომელსაც შეიძლება თამამად ანდო სასკოლო რეფორმის განხორციელების საქმე.

უკვე რამდენიმე წელია, სკოლა განსაკუთრებულ ღონისძიებებს აწყობს სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ურთიერთკავშირის განმტკიცების კუთხით, რაც თავისთავად ხელს უწყობს მშობლებისა და საზოგადოების სასკოლო ცხოვრებით დაინტერესებას. ამ მიზნებს ემსახურებოდა აბაშის 1-ლი საჯარო სკოლის III$^{ბ}$ კლასში ქალბატონი ლუდმილას მიერ ჩატარებული, ტრადიციად ქცეული ღონისძიება „მამების ზეიმი“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: ზუგდიდის რესურსცენტრის წარმომადგენლები – **დავით ჭანტურია**, **მამუკა ბულია**, ჟურნალ „ეგრისის მაცნეს“ რედაქტორი **ნათია ჯგუშია**, ჟურნალისტი **ფატიმა ნაჭყებია**, რაიონის გამგებელი **გურამ გუნავა**, რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე **იური იობაია**, აბაშის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **მერაბ მიგინეიშვილი** და საზოგადოების სხვა ხელმძღვანელი ორგანოების წარმომადგენლები, სკოლის პედაგოგები და III$^{ბ}$ კლასის მოსწავლეთა მშობლები.

დარბაზში სპეციალურ დაფაზე გამოიფინა მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნახატები სათაურით „ჩემი მამა“. ნამუშევრებში გამოიკვეთა შვილების თვალით დანახული მამების პროფესიები და ხასიათი. სცენის გასწვრივ III$^{ბ}$ კლასელები ჩამწკრივებულან, ხოლო წრიულად დალაგებულ მერხებს მამები უსხედან და მღელვარებით ელოდებიან ღონისძიების დაწყებას.

ლუდმილა მასწავლებლის მიზანი, პირველ რიგში, საკუთარი შრომის შედეგის, მოსწავლეთა მიღწევების რეკლამირებაა, მშობელთა პედაგოგიზაცია, მშობლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებისათვის სკოლის პრობლემების გაცნობა და გვერდით დგომის სურვილის გაღვივება, შვილების აღზრდაში მამების როლის გაძლიერებაა.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად ღონისძიებას მასწავლებელი იწყებს საუბრით თემაზე: „მამები და შვილები“. შემდეგ მოსწავლეები წარმოადგენენ ლიტერატურულ მონტაჟს „მამა“, ინსცენირებას – შოთა ასანიძის მოთხრობის, „ნატვრას“ მიხედვით, ასრულებენ მუსიკის მასწავლებელ ინგა კუპრეიშვილის დახმარებით მომზადებულ, თემის შესაფერის სიმღერებს. მოსწავლეები, ქალბატონ ლუდმილა კორძახიას ხელშეწყობით, მშობლებსა და დამსწრე საზოგადოებას თავიანთ შესაძლებლობებს აჩვენებენ. შემდეგ დგება ყველასათვის ამაღელვებელი წუთი. მასწავლებელი მამებს ურიგებს მესამეკლასელების მიერ დაწერილ კოდირებულ თემებს „ჩემი მამა“, აძლევს მითითებას, გაცვალონ ნამუშევრები და ამოიცნონ საკუთარი შვილის დაწერილი თემა. აქედან კარგად ჩანს, ვინ, როგორ იცნობს საკუთარ შვილს, მის სულსა და ხელწერას, ჩანს, ვინ როგორი მამაა და რა ურთიერთობა აქვს შვილთან. გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც პირველი ამოიცნობს შვილის ნაშრომში საკუთარ თავს. ბავშვები ნიშნის მოგებით შეჰყურებენ მამებს, თითქოს ეუბნებიან „აბა, იპოვე“? მამები ეძებენ, დარბაზი ხალისობს. აი, რას ვკითხულობთ ბავშვების ნამუშევრებში:

*„ჩემი მამიკო ღონიერია, ლამაზია, მეხმარება, უყვარს საფერავი ღვინო, გოჭის ხორცი და ხაჭაპური, ფეხბურთი და თევზაობა, ზაფხულში მდინარეზე დავყავარ“.*

*„ჩემს მამიკოს ლამაზი ტანსაცმლის ჩაცმა უყვარს, უყვარს ღვინო, მაგრამ როცა დათვრება არ ჩხუბობს, ჩემი მამიკო სულ მეფერება“.*

*„მამაჩემს მუშაობა უყვარს, ხანდახან ჩხუბობს, ძალიან მინდა ცხენზე ჯდომა მასწავლოს“.*

*„ჩემი მამა ხანდახან ეჩხუბება დედიკოს, ყოველდღე სკოლაში მივყავარ. ჩემს მამას სამსახურში ყველა მუშა აფასებს. უყვარს შავი ღვინო, ხაჭაპური, ნამცხვარი და ხილი“.*

*„ჩემი მამა ლამაზია, ის დედიკოს და ბებიას ეხმარება, ზოგჯერ სკოლაში მივყავარ, მას უნდა, რომ კარგად ვისწავლო, ზაფხულობით მდინარეზე დავყავარ სათევზაოდ, სადაც ვბანაობ ხოლმე“.*

*„ჩემი მამა ძალიან მიყვარს, ის ყველაზე ძლიერი და კეთილია, შავი თმები და თვალები აქვს, მოსწონს, როცა კოხტად არის ჩაცმული, მეც მეუბნება, რომ მოწესრიგებულმა ვიარო, კარგად ვისწავლო და წესიერად მოვიქცე. ჩემმა მამამ მათემატიკა კარგად იცის და მეხმარება გაკვეთილების მომზადებაში. მე ძალიან კარგი მამა მყავს და მიყვარს.“.*

*„მე მამა არ მყავს, ის კატასტროფაში დაიღუპა, მე მამა არ მახსოვს, ძალიან მენატრება, ჩემი ოცნებაა მამა მყავდეს და მას სკოლაში დავყავდე, მაგრამ ვიცი, ეს შეუძლებელია“.*

ღონისძიების დასასრულს, მამებსა და მოწვეულ სტუმრებს III$^{ბ}$ კლასელებმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. სტუმრები აღფრთოვანებას ვერ ფარავენ ღონისძიების ორიგინალურობის გამო, მამები შთაბეჭდილებებს წერილობით გადმოსცემენ. აი, მათი მოკლე შინაარსი:

*„მამებისადმი მიძღვნილმა ზეიმმა, ჩემზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, სიტყვებით გადმოცემა ალბათ გამიჭირდება. გამაოცა ბავშვების ცოდნამ და დახვეწილმა ქცევამ, ლექსებმა და სიმღერებმა. ეს თქვენი დაუღალავი შრომის შედეგია ლუდმილა მასწავლებელო! მეამეყება, რომ ჩემი შვილის პედაგოგი ბრძანდებით. თქვენი შრომა გმირობის ტოლფასია, დიდი მადლობა ამისათვის“,* – **ემილ ჭანტურია.**

*„ქალბატონო ლუდმილა მასწავლებელო, აღფრთოვანებული დავრჩი მამების ზეიმით. აქ ვნახე ძალიან დიდი სიყვარული, სითბო და ტკივილიც, რამაც გაგვაერთიანა. ჩვენმა შვილებმა საოცარი ფრაზები წარმოთქვეს მამების მისამართით, რამაც ძალიან ამაღელვა. არასოდეს მსმენია ასეთი ღონისძიების შესახებ, ეს პირველად თქვენგან ვიხილე. ამ ღონისძიებამ დაგვანახა, რომ ჩვენს შვილებს ვჭირდებით. მსგავსი ღონისძიებები ხშირად უნდა იმართებოდეს. მეამაყება, რომ ჩვენს შვილებს ასეთი მასწავლებელი ჰყავს. ღმერთმა მოგცეთ ძალა და ჯანმრთელობა, რომ მომავალ თაობებსაც აგრძნობინოთ ის სიხარული, რაც თქვენი წყალობით მივიღეთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი“,* – **კახა მიმინოშვილი.**

*„ლამაზი და შთაბეჭდილებებით სავსე დღეა. დავინახეთ ჩვენი შვილების ბედნიერებითა და სიამაყით სავსე თვალები, ალბათ, ისინი ასეთი ძლიერები არასოდეს ყოფილან, როგორც დღეს, მამების ზეიმზე. ქვეყნის სიძლიერე ხომ ამ სიყვარულსა და ურთიერთობაშია. მამებმაც დიდი გაკვეთილი მივიღეთ, დავინახე, როგორი ვარ ჩემი შვილის თვალით – რა ნაკლი და რა ღირსება მაქვს. ვფიქრობ, ეს ბევრ რამეში დამეხმარება როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში. გმადლობთ ლუდმილა მასწავლებელო ჩანაფიქრის ზუსტად განხორციელებისათვის, თქვენ არა მარტო ჩვენ შვილებს, ჩვენც ბევრი გვასწავლეთ“,* – **გოჩა ჩაგანავა.**

*„ვიცი, რომ მამაზე ძალიან ცოტა ლექსი თუ გამონათქვამი მოიპოვება, მაგრამ ეს არ იგრძნობოდა თქვენს ღონისძიებაზე. ამდენი ლამაზი სიტყვა, ამდენი ლექსი მამაზე არასოდეს მსმენია. მეც პატარა ბავშვივით მიხაროდა, რომ ჩემი შვილი სიყვარულითა და სიამაყით საუბრობდა ჩემზე, რაც, უპირველესად, თქვენი დაუღალავი შრომისა და გარჯის შედეგია ლუდმილა მასწავლებელო. რომ არა თქვენ და თქვენი შემართება, ჩვენ, მამები, ვერასოდეს შევიკრიბებოდით ერთად. თქვენ დაგვანახეთ, რომ მამები არ მარტო შვილებს ვჭირდებით, ვალდებულნი ვართ, უფრო მეტად ჩავიხედოთ სასკოლო ცხოვრებაში, დავეხმაროთ პედაგოგებს შვილების აღზრდის საქმეში“,* – **დათო კაჭარავა.**

*„ქალბატონო ლუდმილა! მოგეხსენებათ მამაკაცები სიტყვაძუნწები ვართ, ამიტომ წინასწარ გიხდით ბოდიშს, თუ სიტყვაწყლიანი ვერ ვიქნები. მამებზე ლექსებს არ წერენ, მამებზე ლეგენდებს ყვებიან. თქვენი მოსწავლეების შემხედვარეს გული სითბოთი ამევსო, რაც ასე აკლიათ ომგამოვლილებს“,* – **გია ხოშტარია.**

ვკითხულობთ მშობელთა შთაბეჭდილებებს და ერთმანეთისაგან გვიჭირს მათი გამორჩევა, მაგრამ ვგრძნობთ, მიზანი მიღწეულია. მამები უფრო მეტად უახლოვდებიან ერთმანეთს, პედაგოგებს, და რაც მთავარია, თავიანთ შვილებს. შეჰყურებ ბავშვების სიამაყით სავსე, აციმციმებულ თვალებს და ეჭვი არ გეპარება იმაში, რომ ჩვენ ერთმანეთს ნამვილად ვჭირდებით და მასწავლებლის მიერ დაფაზე მიკრული სამკუთხედი, რომლის გვერდებსაც ამშვენებს წარწერა: „სკოლა, ოჯახი, საზოგადოება “ და შემთხვევითი როდია, რომ ამ სამი რგოლის ერთიანობის გასაღები მხოლოდ ლუდმილა მასწავლებლისნაირების ხელთაა, მისი შრომისა და ძალისხმევის, საქმისადმი ერთგულების, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების ფლობის შედეგია. ყველა ჯილდოზე დიდი ჯილდო კი სტუმრებისა და მშობლების ჩანაწერებში გამოხატული აღტაცება, გაოცება და მადლიერების გძნობაა.

***რუსუდან რუსია***

*აბაშის №1 საჯარო სკოლის*
*დირექტორის მოადგილე*

# მონაცემთა ბაზა ხარისხიანი ინკლუზიური განათლებისთვის

**დიმიტრი შაშკინი,** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *დღეიდან ვიწყებთ ძალიან მნიშვნელოვან პროგრამას, რომელიც ხელს შეუწყობს ინკლუზიურ განათლებას. საქართველოში არინ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, რომლებსაც სპეციალური ინკლუზიური განათლება სჭირდებათ. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ისინი ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები გახდნენ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნამდვილად აქვს შესაძლებლობა და რესურსი, რომ ასეთ ბავშვებს ასწავლოს. დღემდე განათლების სისტემაში არ არსებობდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა მონაცემთა ბაზა, რაც ხელს უშლიდა მათ ეფექტურ ინტეგრაციას საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ძალიან სწრაფად მოხდეს საზოგადოებაში მათი ინტეგრირება. საქართველოში ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს სწავლის შესაძლებლობა. მივმართავ მშობლებს, მიმართონ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდს ან რესურსცენტრების მეშვეობით დაარეგისტრირონ თავიანთი შვილები, შეავსონ სპეციალური ანკეტა, რათა შეიქმნას მონაცემთა სრულყოფილი ბაზა (ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში 10 000-მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვია). მარტიდან კი შეიქმნება სპეციალური ჯგუფები, რომლებიც მათთან სახლებში მივლენ, რათა ყველა ბავშვისთვის სპეციალური სასწავლო გეგმა შეიქმნას. ჩვენ მზად ვართ, დავეხმაროთ ამ ბავშვებს და ამისთვის მშობლების აქტიურობა გვჭირდება. მონაცემთა სრულყოფილი ბაზა საქართველოში პირველად იქმნება, რაც საგანმანათლებლო პროცესში მათ მიზნობრივ ჩართვაში დაგვეხმარება. ზაფხულისთვის ბაზა სრულყოფილი იქნება და თითოეულ ბავშვთან დავიწყებთ მუშაობას იმისათვის, რომ ყოველ მათგანს ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს განათლება და ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი გახდეს*

***მაკა ყიფიანი***

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, აცხადებს, 5-17 წლის ასაკის შშმ ბავშვთა ნებაყოფლობით რეგისტრაციას. რეგისტრაცია პირველი თებერვლიდან პირველი მარტის ჩათვლით იწარმოებს.

აღსანიშნავია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს პროგრამებს, რომლებიც, პირველ რიგში, მიმართულია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისა და, ამავე დროს, სპეციალიზებული სკოლების როლის განსაზღვრისაკენ ახალ საგანმანათლებლო სისტემაში.

საქართველოს მასშტაბით, უკვე ფუნქციონირებს მულტიდისციპლინური გუნდები, რომლებშიც შედიან ფსიქოლოგები, ოკუპაციური თერაპევტები და სპეციალური პედაგოგები. გუნდები დარეგისტრირებულ ბავშვებს შეაფასებენ და მათი რეკომენდაციის საფუძველზე ყველა ბავშვისთვის ინდივიდუალური პროგრამა შეიქმნება.

სარეგისტრაციო ანკეტის შესავსებად დაინტერესებულმა პირებმა უნდა მიმართონ საცხოვრებელ სახლთან ახლომდებარე საგანმანათლებლო რესურსცენტრს ან შეავსონ სარეგისტრაციო ანკეტის ფორმა ინტერნეტით, მისამართი – www.mes.gov.ge

* * *

საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** ქალაქ ბორჯომში 720 მოსწავლეზე გათვალისწინებული თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი №3 საჯარო სკოლა გახსნა. პრეზიდენტი ბავშვების მიერ შექმნილ ნახატებსა და თხზულებებს გაეცნო. მოსწავლეებმა ნამუშევრები მიუძღვნეს თემატიკას – „ჩემი თვალით დანახული რუსული აგრესია“. აღნიშნულ თემაზე კონკურსი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ოკუპაციის კვირეულის ფარგლებში, 30 იანვარს გამოაცხადა.

ბორჯომის №3 საჯარო სკოლა 2005 წელს დაინგრა. მისი მშენებლობა 2008 წლის მაისში დაიწყო, მაგრამ აგვისტოს ომის გამო შეფერხდა. სკოლის რეაბილიტაცია მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა და აღდგენით სამუშაოებზე სამმილიონნახევარი ლარი დაიხარჯა. ამ დროისათვის, სკოლა ყველა საჭირო ინვენტარით, მათ შორის 22 კომპიუტერითაა აღჭურვილი. ფუნქციონერებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორიები, სპორტული და სააქტო დარბაზები, ასევე ბიბლიოთეკა და კლასები დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

სამსართულიან სკოლაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის გათვალისწინებულია ორი ლიფტი, ხოლო შენობაში მათი შესვლისათვის – სპეციალური პანდუსები. კეთილმოწყობილია სკოლის ეზო და სკოლასთან მისასვლელი საავტომობილო გზა. ფასადები კერამიკული ფილებითა და მეტალის ელემენტებითაა მოპირკეთებული. ფუნქციონირებს წყალმომარაგების, ელექტრომომარაგებისა და კანალიზაციის ქსელები. დამონტაჟებულია ავტონომიური გათბობისა და ვენტილაციის სისტემები.

* * *

არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციისათვის საქართველოს პროკურატურამ, შინაგან საქმეთა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებმა ერთობლივი კამპანია დაიწყეს. ამ მიზნით, თბილისის 51-ე საჯარო სკოლას საქართველოს მთავარი პროკურორი **მურთაზ ზოდელავა**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** ესტუმრნენ და უფროსკლასელებთან, მათ მშობლებთან და მასწავლებლებთან მთავარ პრიორიტეტებზე ისაუბრეს. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საჯარო სკოლებში უსაფრთხოების დაცვაზე, მოსწავლეთა უსაფრთხოებისთვის სამართალდამცველთა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა კოორდინირებულ მუშაობაზე, ოჯახისა და საზოგადოების როლზე და ადრეულ ასაკში კანონმორჩილების თვითშეგნების ამაღლებაზე.

51-ე საჯარო სკოლაში არასრულწლოვანთა დანაშაულთან დაკავშირებული კლიპის პრეზენტაციაც გაიმართა, რომელიც მთავარი პროკურატურისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაკვეთით დამზადდა. კლიპში ასახულია ცივი იარაღის ტარების მიმართ ოჯახისა და საზოგადოების გულგრილობა, რის გამოც მოსწავლე, ერთდროულად, დამნაშავე და მსხვერპლი გახდა.

საინტერესო დევიზის გამოსავლენად 51-ე საჯარო სკოლაში კონკურსი გამოცხადდა. მთელი წლის განმავლობაში ცივი იარაღის ტარების საწინააღმდეგო კამპანია გამარჯვებული დევიზის ეგიდით წარიმართება. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის კამპანიის ფარგლებში, საჯარო სკოლებში სამართლებრივ თემებზე ლექციები, კონკურსები, სპორტული შეჯიბრებები და დისკუსიები მთელი წლის განმავლობაში გაიმართება.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი **დალი ხომერიკი** და გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ნონა შონია** ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორს – **მაია მიმინოშვილს** შეხვდნენ. მინისტრმა მადლიერება გამოხატა ცენტრის მიმართ იმ განსაკუთრებული ყურადღებისა და თანადგომისათვის, რომელიც გასული წლების განმავლობაში ოკუპირებული გალის რაიონისა და მთლიანად აფხაზეთის მოსწავლე ახალგაზრდობისა და მასწავლებლებისადმი იყო მიმართული. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ოკუპირებული ტერიტორიის მოსწავლეებისა და მასწავლებლების ერთიანი ეროვნული და სასერტიფიკატო გამოცდებისათვის მზადებას, 2011 წელს მოსალოდნელ ცვლილებებსა და კონფლიქტის ზონის აბიტურიენტთათვის მოსამზადებელი ცენტრის გახსნას.

ქალბატონმა მაიამ აღნიშნა, რომ კვლავაც გააგრძელებს თანამშრომლობას აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან და გამოთქვა მზადყოფნა, შეხვდეს ოკუპირებული ზონის აბიტურიენტებს და პედაგოგებს, პირადად გააცნოს მათ მიმდინარე სიახლეები, მოისმინოს მათი პრობლემები და მოამარაგოს ისინი ტესტების კრებულებითა და სახელმძღვანელოებით.

* * *

ლილოს დასახლებაში მცხოვრები, აფხაზეთიდან გადმოსული, აფხაზი ბავშვები დღეიდან ქართულ სკოლაში ისწავლიან. №168 საჯარო სკოლაში აფხაზ ბავშვებს სწავლის დაწყება აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დალი ხომერიკმა და საქართველოს განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილე **კოკა სეფერთელაძემ** მიულოცეს. აფხაზი ბავშვების მიღების ცერემონიალი საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესრულებით დაიწყო, ხოლო აფხაზმა ბავშვებმა სკოლის შენობაზე საქართველოს დროშა აღმართეს. დღეიდან III-XI კლასელი ცხრა აფხაზი ბავშვი ქართული სკოლის რუსულ სექტორზე ისწავლის.

„ამ სკოლაში კონტინგენტი საკმაოდ მრავალფეროვანია. ეს იმედს გვაძლევს, რომ ბავშვები ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას შეძლებენ. ჩვენ ყველა პირობა შევქმენით იმისთვის, რომ მათ განათლება მიიღონ და თავი ქართული სახელმწიფოს ნაწილად იგრძნონ და ამავდროულად შეინარჩუნონ თვითმყოფადობა“ – განაცხადა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა. მინისტრის თქმით, სურვილის მიხედვით აფხაზ მოსწავლეებს საგანგებოდ მათთვის გამოყოფილი სპეციალისტი აფხაზური ენის გაკვეთილებს კვირაში რამდენჯერმე ჩაუტარებს. აფხაზეთიდან დევნილი 10-მდე აფხაზი ოჯახი აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ გია ბარამიამ ლილოს დასახლებაში მდებარე ერთ-ერთ შენობაში ორი თვის წინ შეასახლა.

* * *

საქართველოს ჩემპიონატში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ბრინჯაოს მედალი აფხაზეთის ნაკრები გუნდის სპორტსმენმა **ჯონი ხვიჩიამ** მოიპოვა. მან მეტოქე 55კგ. წონით კატეგორიაში დაამარცხა და მე-3 ადგილზე გავიდა, ხოლო მე-7 ადგილი **დავით უბირიას** ერგო. ჩემპიონატის წესის მიხედვით, საპრიზო ადგილზე გასული ჯონი ხვიჩია საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში გადაიყვანეს.შეჯიბრის ფინალი ქუთაისში, საჭიდაო სპორტულ დარბაზში ჩატარდა. წელს, საქართველოს ჩემპიონატში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 200-მდე სპორტსმენი ასპარეზობდა. შეჯიბრი როგორც მსუბუქ, ასევე მძიმე წონით კატეგორიებში ჩატარდა, რომელშიც საქართველოს ყველა რეგიონის (აჭარა, ქართლი, სამეგრელო, იმერეთი და სხვ.) ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ.

შეჯიბრს მხარს უჭერდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო. შეჯიბრის ორგანიზატორი იყო საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია.

**საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა 2009 წლის საუკეთესო სპორტულ ჟურნალისტად, უკვე მესამედ, ირაკლი თავაძე დაასახელა. „ახალი განათლების“ რედაქცია ულოცავს ირაკლის ჟურნალისტისთვის საპატიო ტიტულს და მომავალ წარმატებებს უსურვებს.**

# საიმედო მომავალი

წინა კვირას ბათუმი უჩვეულო დიდთოვლობასთან ერთად თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატსაც მასპინძლობდა. ყოველი ასეთი ტურნირისგან სპეციალისტები ახალ სახეებს, ახალგაზრდების გამოჩენას ელოდებიან. სელექციის თვალსაზრისით ეს ტურნირი მთლად წარმატებული არ გამოდგა, თუმცა ორი ნათელი წერტილი მაინც გამოჩნდა, რაღაც უცნაური ბედისწერით, ყველაზე მჩატე და ყველაზე მძიმე წონით კატეგორიებში – გორელი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და მძიმეწონოსანი თბილისელი **გიორგი საკანდელიძე**. თუმცა ხინჩეგაშვილს მთლად ახალი სახეც არ ეთქმის. იმის მიუხედავად, რომ გორის უნივერსიტეტის სტუდენტი ჯერ მხოლოდ 18 წლისაა, საქართველოს ჩემპიონი შარშანაც გახდა. სხვათა შორის, მაშინ პირდაპირ გამოცდიდან გადაერთო საჭიდაო დარბაზში და დაღლილობა ეტყობოდა კიდეც, თუმცა ჩემპიონობაში ხელი არ შეშლია. მისთვის ყველაზე წარმატებული მაინც შარშანწინდელი სეზონი იყო, როცა ერთბაშად ორ ნაკრებში – ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში ჭიდაობდა და ორივე ასაკში პარალელურად გახდა საქართველოსა და ევროპის პირველობების ჩემპიონი, ხოლო ახალგაზრდებში მსოფლიოს პირველობაზე ბრინჯაო მოიპოვა. შარშან წონითი კატეგორიაც შეიცვალა და ცოტა გაუჭირდა. იმედია, წლეულს ძველებურად არაერთი გამარჯვებით გაგვახარებს. თუ მწვრთნელებმა თავდაპირველი დანაპირები შეასრულეს, მაშინ ხინჩეგაშვილმა აპრილში ბაქოში ევროპის პირველობაზე უნდა იჭიდაოს – მწვრთნელები ნაკრების დაკომპლექტებას სწორედ ქვეყნის ჩემპიონებით აპირებენ.

ხინჩეგაშვილისგან განსხვავებით, უფროსებში პირველი წარმატება მოიპოვა საკანდელიძემ, რომელმაც შარშან ძალიან კარგად იასპარეზა ახალგაზრდებში – ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონიც გახდა. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი ამერიკელ **დონ ბრედლისთან** მართლაც დათმო. აი, თბილისში გამართულ ევროპის პირველობაზე მისი მარცხი რუსთა ნაკრების წევრ **ალან ხუგაევთან** საცოდაობა იყო – ოს მოჭიდავეს იმდენად ეტყობოდა გადაკეთებული ასაკი, გაოცება საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს წევრმა, **ნატალია იარიგინამაც** ვერ დამალა და იკითხა – რა ხდება, მამა-შვილი ჭიდაობენო?

საკანდელიძემ უფროსებში პირველად შარშანვე იჭიდავა მეტად პრესტიჟულ ტურნირში – ბაქოში, „ოქროს დიდ პრიზზე“ და ბრინჯაო მოიპოვა. მას წლეულს ისევ უწევს ახალგაზრდულ ნაკრებში გამოსვლა, თუმცა არაა გამორიცხული, ეროვნული ნაკრების ლიდერობაც ჩაიბაროს. საამისოდ ბათუმში გამარჯვებით პირველი ნაბიჯი კი გადადგა, მაგრამ ევროპის პირველობაზე მისი წაყვანა ჯერ გადაწყვეტილი არაა – ობიექტურ მიზეზთა გამო, საქართველოს ჩემპიონატში წონის რამდენიმე ლიდერი არ გამოსულა. ამიტომ მწვრთნელები აპრილის დასაწყისში, საგანგებოდ ამ წონაში, სპეციალურ ტურნირს, ანუ „ფალავნობას“ ჩაატარებენ და ბაქოშიც მისი გამარჯვებული იჭიდავებს. ამდენად, საკანდელიძეს ნაკრებში მოსახვედრად კიდევ ერთი შეჯიბრების მოგება მოუწევს, თუმცა, რაც ბათუმში ვნახეთ, ამის გაკეთება ნამდვილად შეუძლია. იქ მისი უპირატესობა ყველა შეხვედრაში აშკარა იყო და მაყურებელი დამაჯერებელი ჭიდაობით მოხიბლა, მიუხედავად იმისა, რომ ბეჭის ტრავმა აწუხებდა. ეს აშკარად ეტყობოდა კიდეც – უჭირდა მეტოქეთა ჩოქბჯენიდან დატრიალება, მაგრამ რამდენჯერმე ესეც მშვენივრად გააკეთა. ფინალში სპეციალისტები ფავორიტად ბევრად გამოცდილ და ბევრად უფროს ევროპის პრიზიორ **ლექსო მოდებაძეს** მიიჩნევდნენ, მაგრამ მეორე პერიოდში, ყველაზე კრიტიკულ მომენტში (ანგარიში გაათანაბრა), ისეთი უზადო კისრულით დააგდო სამქულიანზე, მხოლოდ გამოცდილი ოსტატები თუ აკეთებენ. ფინალში საკანდელიძემ ბევრი კარგი თვისება გამოავლინა – ჟინი, შემტევი ხასიათი, ბრძოლის სურვილი. ის არც ანგარიშში ჩამორჩენამ შეაშინა და საოცარი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა. დამატებით დროში კიდევ ერთხელ შეექმნა კრიტიკული ვითარება, როცა ფეხში შესვლის უფლება ბურთულამ მას არგუნა, მაგრამ ფიზიკურად ძლიერი მეტოქე ვერ გადაადგო. ამის მიუხედავად, არ მოეშვა, არ შედრკა, შეტევის ტემპი არ დაადგო და მანამდე არ დაანება თავი, ვიდრე ქულა არ წაართვა. ყველა სპეციალისტი, ყველა მწვრთნელი ერთხმად თანხმდებოდა, რომ მისი სახით ამ წონაში ძალიან ნიჭიერი ფალავანი გამოგვიჩნდა, მას დიდი წარმატების მოპოვება შეუძლია. საამისოდ მოდებაძეს ყველა მონაცემი აქვს, რაც მთავარია, თვითონაა პროფესიონალი – უაღრესად მშრომელი, არ ეზარება ვარჯიში, ადვილად ითვისებს მწვრთნელთა მითითებებს, რჩევა-დარიგებებს... თვით ის ფაქტი, რომ ბათუმში ტრავმირებულმა გაიმარჯვა და ჭიდაობის ასეთი მაღალი ხარისხი აჩვენა, მის პოტენციალზე მიუთითებს.



## ქევხიშვილი ისევ იგებს

ამერიკაში მცხოვრებმა ქართველმა ბირთვის მკვრელმა **მარიამ ქევხიშვილმა** იქაურ სტუდენტურ ლიგაში ზედიზედ მეორე ტურნირი მოიგო. შეგახსენებთ, რომ წინა გამარჯვება მან ორი კვირის წინ საქართველოს რეკორდით მოიგო – 18, 47 მ. ახლანდელი შედეგი რეკორდს საკმაოდ ჩამორჩება – 18,19, მაგრამ ტეხასურ ნეშვილში გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა. ისიც საყურადღებოა, რომ შარშან ქევხიშვილი ბირთვს 18 მეტრზე შორს იშვიათად აგდებდა, ახლა კი ამ ნიშნულს იოლად ლახავს. იმედია, ის მომავალ ტურნირებშიც ასევე წრმატებით მოიქნევს სფეროს.

## კალაშნიკოვა ზევით მიიწევს

19 წლის ჩოგბურთელმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** ავსტრალიის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ბადეში ერთადერთი გამარჯვება მოიპოვა და ისიც თანაქალაქელ **მაკა ჩახნაშვილთან**, თუმცა რეიტინგში ამითაც საგრძნობლად იხეირა – ერთბაშად 18 საფეხურით წაიწია წინ და ამჟამად 163-ეა, რაც მის კარიერაში საუკეთესო შედეგია. ნახტომით მან **ანა ტატიშვილსაც** გადაასწრო და საქართველოს უპირველესი ჩოგბურთელი ქალის სტატუსი კვლავ დაიბრუნა.

მისასალმებელია კალაშნიკოვას ბოლო წლების პროგრესი – 2007 წელს 610-ე იყო, 2008-ში 391-მდე ამაღლდა, შარშანდელი სეზონი კი 180-ზე დაასრულა. წლევანდელი პროგრესი უკვე ფაქტია, მაგრამ ამ სეზონზე სპეციალისტები მისგან ბევრად უფრო მეტს ელოდებიან.

*რუბრიკას უძღვება*
*ირაკლი თავაძე*

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.
რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.